UN GLOBAL COMPACT
Network Georgia

პროგრესის ანგარიში 2024

გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი

ადამიანის უფლებები

1 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და

2 ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე.

შრომითი უფლებები

3 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრების და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ

4 უნდა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა.

5 ეფექტურად უნდა აღკვეთოს ბავშვთა შრომა.

6 უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ.

გარემოს დაცვა

7 ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი.

8 თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას.

9 უნდა წაახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება.

კორუფციასთან ბრძოლა

10 ბიზნესმა უნდა იმუშავოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ. ფულის გამოძალვის და მექრთამეობის ჩათვლით.

1 არა სიღარიბეს
2 არა შიმშილს
3 ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
4 ხარისხიანი განათლება
5 გენდერული თანასწორობა
6 სუფთა წყალი და სანიტარია
7 ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია
8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
10 შემცირებული უთანასწორობა
11 მდგრადი ქალაქები და დასახლებები
12 მდგრადი მოხმარება და წარმოება
13 კლიმატის მდგრადობის მიღწევა
14 წყალქვეშა რესურსები
15 დედამიწის ეკოსისტემები
16 მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები
17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის
SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS



სალომე ზურაბიშვილი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი

2025 წელი ორი გარდამტეხი ეტაპის ნიშნულია: 25 წელი გავიდა გაეროს გლობალური შეთანხმების დაფუძნებიდან და 10 წელი - მას შემდეგ, რაც გაეროს გლობალური შეთანხმება საქართველოს კონტექსტში დაბრუნდა. 2025 წელი პირადად ჩემთვისაც გამორჩეული თარიღია – სრული ათწლეულია, რაც საქართველოში კორპორაციული მდგრადობის საკითხებზე ვმუშაობ. ამ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი გარდასახვის მოწმე გავხდი – არა მხოლოდ იმ მიმართულებით, თუ როგორ ესმის საზოგადოებას მდგრადობა, არამედ როგორ ხდება მისი ინტეგრირება ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ჩვენ ვიმყოფებით მზარდი გამოწვევებისა და სწრაფი მოქმედების აუცილებლობის პერიოდში, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ვხედავთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაურკვევლობას, დემოკრატიულ სისტემებზე მზარდ ზეწოლას, უთანასწორობის გაღრმავებას, ESG პრაქტიკების გამკაცრებულ ზედამხედველობასა და კლიმატის ცვლილების მზარდ ზეგავლენას. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომი, რომელიც უკვე მესამე წელია გრძელდება, კვლავ იწვევს ადამიანურ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ კატასტროფებს, რითაც ეჭვქვეშ აყენებს საერთაშორისო სამართლისა და მშვიდობის საფუძვლებს.

ამ რთულ პერიოდში, პასუხისმგებლიანი ბიზნეს-ლიდერობა უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე. კერძო სექტორს შეუძლია და უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი – არა მხოლოდ ღირებულებების დაცვაში, არამედ პრაქტიკული გადაწყვეტილებების შეთავაზებაშიც. კომპანიების საქმიანობა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და მედეგი, მათ უნდა მოახდინონ მდგრადობის ინტეგრირება საკუთარ სტრატეგიებში და ხელი შეუწყონ გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის დაცვას მთელ ღირებულებათა ჯაჭვში – თანამშრომლებში, მომწოდებლებში და მთლიანად, საზოგადოებაში. ის, თუ როგორ ვაკეთებთ ბიზნესს, უნდა იყოს ანარეკლი იმ მომავლისა, რომლის შექმნაც გვინდა.

ხუთი წელი დარჩა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ამ ეტაპზე თავდაპირველი სამიზნეების მხოლოდ 18 %-ია მიღწეული. თამამი და კოორდინირებული მოქმედებების საჭიროება უდავოა. უნდა ვიმოქმედოთ ახლა.

მდგრადობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფინანსების მობილიზება. სათანადო და შესაბამისად მიმართული კაპიტალის გარეშე, უფრო ინკლუზიური, მედეგი და დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლა მიუღწეველ მიზნად დარჩება. ეს მოითხოვს არა მხოლოდ ფინანსური ნაკადებისა და მდგრადობის მიზნების უკეთეს თანხვედრას, არამედ საჯარო-კერძო თანამშრომლობის ახალ ფორმებსა და რისკების შემცირების მექანიზმებს ინვესტიციების მობილიზებისთვის – განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე.

ამავე დროს, ტრანსფორმაციული და ინოვაციური მიდგომები ბიზნესში არჩევითი აღარ არის – ეს აუცილებლობად იქცა. პროდუქტის დიზაინიდან დაწყებული, მიწოდების ჯაჭვის მოდელებითა და კორპორაციული მმართველობით დასრულებული, ბიზნესებმა აზროვნებისა და საქმიანობის ახალი მიდგომები უნდა დანერგონ. ჩვენ იმედებს ვამყარებთ ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტზე, არა როგორც ჯადოსნურ გამოსავალზე, არამედ როგორც მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე. თუ იგი ეთიკურად იქნება მართული და ინკლუზიურად დანერგილი, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია რთული მონაცემების დამუშავება, რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, გამჭვირვალობის გაუმჯობესება და მდგრადი გარდაქმნის დაჩქარება სხვადასხვა სექტორში.

ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული მიმართულებაა ქართული კომპანიების მხარდაჭერა ევროკავშირის მდგრადობის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით და DCFTA-ს შესაძლებლობების სრულად ათვისება. საქართველოს ადგილი ევროკავშირშია და ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ ჩვენს კომპანიებს მომავლისთვის უკეთ მომზადებაში, შესაბამისობის, ინოვაციისა და ინვესტიციების გზით.

ჩვენი თანამშრომლობა გაეროს გუნდთან საქართველოში მუდმივად ღრმავდება, და მადლიერნი ვართ იმ ძლიერი პარტნიორობებისთვის, რომლებიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია.

განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო შვედეთის მთავრობას და ჩვენს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებს, მათი ურყევი მხარდაჭერისთვის.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გაზრდა პრინციპებზე დაფუძნებული და ერთგული კომპანიებით, კვლავ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. პასუხისმგებლიანი ბიზნეს საქმიანობის გაფართოება აუცილებელია სისტემური და გრძელვადიანი ზეგავლენის მისაღწევად.

2025 წელს და მომდევნო პერიოდს ვუყურებ დიდი რწმენით, რომ შევძლებთ, ვიმოქმედოთ საერთო ხედვით, გავზარდოთ ჩვენი გავლენა და ავაშენოთ უფრო სამართლიანი, მდგრადი და მედეგი მომავალი.

ვინ ვარ ჩვენ?

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური ინიციატივის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმება მოუწოდებს კომპანიებს მთელ მსოფლიოში, საქმიანობა და სტრატეგიები შესაბამისობაში მოიყვანონ ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის ათ პრინციპთან. ჩვენი მიზანია ბიზნესის გლობალური კოლექტიური გავლენის დაჩქარება და გაფართოება ათი პრინციპის დაცვითა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართ ანგარიშვალდებული კომპანიებისა და ეკოსისტემების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებებს. გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მდგრადობის უმსხვილესი ინიციატივაა მსოფლიოში. იგი აერთიანებს 21000-ზე მეტ კომპანიას, 5 რეგიონულ ჰაბს, 64 ადგილობრივ ქსელს, რომელიც ფარავს 167 ქვეყანას და 15 რეგიონულ მენეჯერს, რომლებიც ქსელებს დამატებით 34 ქვეყანაში აფუძნებენ. გაეროს გლობალური შეთანხმება არის ერთიანი გლობალური ინიციატივა, რომელიც ბიზნესს უკეთესი სამყაროს ასაშენებლად აერთიანებს.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (UNGCNG) გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის შესაბამისად და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მისაღწევად აქტიური მოქმედების წახალისებით, ხელს უწყობს ბიზნესის პასუხისმგებლიან წარმართვას.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისთან (GCO), რათა ხელი შეუწყოს ინიციატივისა და მისი პრინციპების პოპულარიზაციას ეროვნულ დონეზე და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ინტეგრირება საქართველოს უნიკალურ კულტურულ, ენობრივ და ინსტიტუციურ კონტექსტში.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მისიაა პროგრესული მომავლის უზრუნველყოფა მდგრადი მიდგომების სტიმულირებით და ბიზნესის ჩართულობით.

გამგეობა

სოფო ჩაჩანიძე

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობის თავმჯდომარე, ACT

იზა გოცაძე

აჭარისწყალი ჯორჯია

კახა ხაზარაძე

საერთაშორისო კორპორაცია ICR

ლარისა პატარაია

Start-Business Solutions

ნანა ბერძენიშვილ

AIS, ADG კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი

ნათია ჭინჭარაული

ეკობრენდს ჯორჯია

ნინო ენუქიძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ვალერი ჩეხერია

Salt Projects

ნინო ლიპარტია

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის



სალომე ზურაბიშვილი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, აღმასრულებელი დირექტორი (Ex Officio წევრი)

დამკვირვებელი წევრები

დიდიე ტღებიუკი

გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში



ანიტა ლებიარი

გაეროს გლობალური შეთანხმების აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონული ხელმძღვანელი

გუნდი

სალომე ზურაბიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ნინო კვანტრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ბაკურ კვარაცხელია
პროექტებისა და ფონდების მოძიების მიმართულების ხელმძღვანელი

ქეთი ბოჭორიშვილი
აქსელერაციის პროგრამებისა და აკადემიის მენეჯერი

აკაკი კუხალეიშვილი
ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მენეჯერი

გიორგი ბერეჩიკიძე
გარემოს დაცვის მენეჯერი

მაია გიორგაძე
ბიზნესის კეთილსინდისი-ერების ხელმძღვანელი და კერძო სექტორთან ურთიერთობის მენეჯერ

ბექა ალექსიშვილი
ბიზნესთან ურთიერთობისა და პარტნიორული პროექტების მენეჯერი

ნინო ჭონქაძე
ბიზნესთან ურთიერთობისა და პარტნიორული პროექტების მენეჯერი

თამარ ღუნაშვილი
სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი

ლაშა მიქაუტაძე
ციფრული მედიის მენეჯერი

თემურ ტყეშელაშვილი
ფინანსური ხელმძღვანელი

ანა დგებუაძე
ადმინისტრაციული ხელმძღვანელი

ანი გოცაძე
HR ბიზნეს პარტნიორი

ნუგზარ გურული
ბუღალტერი

MAJOR ძირითადი მიღწევები

2024 წლის ძირითადი მიღწევები:

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს 38 ახალი წევრი შეუერთდა, რამაც ორგანიზაციის მასშტაბი და გავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა.

- **გლობალური წარმომადგენლობა:** სალომე ზურაბიშვილი იკავებდა გლობალური ქსელების საბჭოს თანათავმჯდომარის პოზიციას და იყო გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის წევრი. იგი 63 ქვეყნის ქსელს წარმოადგენდა და მონაწილეობდა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გაეროს გლობალური შეთანხმების გლობალურ სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავდა.
- **პროექტის გაფართოება:** შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა პროექტის-„ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში“, მეორე ფაზის განხორციელება დაიწყო. პროექტის მიზანია კერძო სექტორის საქმიანობის მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა, ასევე, მულტისექტორული თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერება, რაც ამავდროულად უზრუნველყოფს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გრძელვადიან მდგრადობას.
- **გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევა:** 2024 წლის დეკემბერში, გენერალურ ასამბლეაზე არჩეულ იქნა გამგეობის ახალი შემადგენლობა და თავმჯდომარე.
- **სამოქმედო პლატფორმები:** წარმატებით ფუნქციონირებდა ხუთი თემატური სამოქმედო პლატფორმა - ევროკავშირთან ინტეგრაცია, მდგრადი დაფინანსება, ცირკულარული ეკონომიკა, შრომა და ღირსეული სამუშაო და ბიზნესის კეთილსინდისიერება და ერთობლივი ძალისხმევა კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში. სამოქმედო პლატფორმების ფარგლებში, გაიმართა 14 შეხვედრა, რომელსაც, ჯამში, 426 მონაწილე დაესწრო.
- **აქსელერაციის პროგრამები:** გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისთან და ქვეყნების ქსელებთან თანამშრომლობით, განხორციელდა 5 აქსელერაციის პროგრამა, რომელშიც შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მონაწილეობა მიიღო 67 ორგანიზაციის 139-მა წარმომადგენელმა.

- **ადგილობრივი ღონისძიებები:** გაიმართა 49 ადგილობრივი ღონისძიება, რომლებშიც, ჯამში, 1432 ადამიანი მონაწილეობდა. აღნიშნულმა შეხვედრებმა კორპორაციული მდგრადობის სფეროში დიალოგსა და თანამშრომლობას შეუწყო ხელი.
- **ვიზიტი ბრიუსელში:** გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისის და ევროპის ქვეყნების ქსელების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ქსელმა ბრიუსელში განხორციელებულ სამუშაო ვიზიტში მიიღო მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებთან და ევროპარლამენტის წევრებთან.
- **ლიდერთა სამიტი და გაეროს გენერალური ასამბლეა:** საქართველოს კერძო სექტორის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლიდერთა სამიტში და მაღალი დონის პარალელურ ღონისძიებაში, რომელიც მდგრადი განვითარების სფეროში კორპორაციულ ანგარიშგებას შეეხებოდა. ღონისძიება გაეროს გენერალური ასამბლეის კვირეულის ფარგლებში, ნიუ იორკში, EY-სთან თანამშრომლობით გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ GRI-ის, IFRS-ის, EFRAG-ისა და 8 ქართული კომპანიის წარმომადგენლები, რომლებმაც ანგარიშგების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ისაუბრეს.
- **COP29:** დაიგეგმა და უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს კერძო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის 2024 წლის კონფერენციაში, რომელსაც ბაქომ უმასპინძლა. ღონისძიებების ფარგლებში ოთხი პანელური დისკუსია გაიმართა, სადაც ექვსი კომპანიის თორმეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. დისკუსიები ჩატარდა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებული ორი მაღალი დონის ღონისძიების ფარგლებში, უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქეთის, დანიის, შვედეთის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და ჩინეთის ქსელებთან პარტნიორობით.
- **მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის კვლევის ანგარიში:** EY Georgia-სთან პარტნიორობით, მომზადდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში მიღ-

წეული პროგრესის კვლევის ანგარიში, რომელიც ბიზნეს სექტორსა და პოლიტიკის შემქმნელებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის.

- **სტრატეგიული პარტნიორობა მედიასთან:** BMG-სთან სტრატეგიული პარტნიორობისა და ორი მიმდინარე სატელევიზიო რუბრიკის: „საუბრები ბიზნესსა და ევროკავშირზე“ და „გზა მდგრადობისკენ“ მეშვეობით, გაიზარდა ცნობიერება კორპორაციული მდგრადობის შესახებ.
- **ჟურნალი SUSTAINABILITY SPOTLIGHT:** გამოქვეყნდა ჟურნალის სამი ნომერი, ფოკუსით შემდეგ საკვანძო თემებზე: მდგრადი დაფინანსება, ევროკავშირში ინტეგრაცია და კორუფციასთან ბრძოლა (მე-10 პრინციპი). გამოცემები, ჯამში, 67 სტატიას და 53 ინტერვიუს მოიცავდა.
- **კორპორაციული მდგრადობის ჯილდო:** აღინიშნა კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსზე შემოსული განაცხადების რეკორდული რაოდენობა - 157 განაცხადი პირველ ეტაპზე და 110 - მეორე ეტაპზე.
- **ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობა:** გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ხელი შეუწყო ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის 10 ეფექტურ პარტნიორობას, რამაც უზრუნველყო საერთო ღირებულებების პოპულარიზაცია და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

რას გთავაზობთ?

UN GLOBAL COMPACT

SPARK

კორპორაციული მდგრადობის გზამკვლევი ბიზნესისთვის

ბიზნესის პასუხისმგებლობის ზრდა

დღეს ბიზნესები სულ უფრო მეტად აწყდებიან პასუხისმგებლიანი ქცევის მიმართ მზარდ მოლოდინებს, როგორც მომხმარებლებისა და თანამშრომლების, ასევე, ინვესტორების მხრიდან. ამ გამოწვევებზე პასუხის გასაცემად, კერძო სექტორმა წამყვანი როლი უნდა იტვირთოს და აქტიურად შეუწყოს ხელი უფრო მდგრადი და თანასწორი სამყაროს შექმნას. მაგრამ საიდან უნდა დაიწყოს ეს გზა?

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

დასახული მიზნების შესასრულებლად, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ახორციელებს რიგ ინიციატივებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია შემდეგ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებში:

მდგრადობის შესახებ განათლების და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

ჩვენ ვეხმარებით ორგანიზაციებს, აიმაღლონ ცოდნა მდგრადობის შესახებ და დასახონ ამბიციური მიზნები. გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს სთავაზობს ხარისხიან განათლებას აქსელერაციის პროგრამების, ურთიერთსწავლების ჯგუფების, სამოქმედო პლატფორმების, ვორქშოპების, კონფერენციებისა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის აკადემიის პროფესიული სასერტიფიკატო პროგრამების მეშვეობით.

პარტნიორობის ხელშეწყობა

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ხელს უწყობს მულტისექტორული პარტნიორობების განვითარებას 2030 დღის წესრიგის წინსვლისთვის. ქსელი აერთიანებს ბიზნესსექტორს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (CSO) და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათთვის პარტნიორული ურთიერთობების როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე ჩამოყალიბების შესაძლებლობების შეთავაზებით.

კონსულტირება

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ორგანიზაციებს სთავაზობს ექსპერტიზას მდგრადობის ბენჩ-მარკინგის, ხარვეზების ანალიზისა და კორპორაციული მმართველობის მიმართულებით. ქსელი მხარს უჭერს მონაწილე კომპანიებს მდგრადობის ანგარიშგების მომზადებაში და უწყობს ხელს საუკეთესო პრაქტიკების ინტეგრაციას პოლიტიკებში, სტრატეგიულ გეგმებსა და ყოველდღიურ საქმიანობაში.

ლიდერობის აღიარება

ქსელი ახალისებს ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევას სხვადასხვა აღიარებითი აქტივობებით და ხაზს უსვამს კომპანიების მიღწევებს მდგრადი განვითარების მიმართულებით.

კორპორაციული მდგრადობის მეგზური ბიზნესისთვის

1. განათლება და ცნობიერების ამაღლება	
პრაქტიკული სახელმძღვანელო და ინსტრუმენტები	გაეროს გლობალური შეთანხმების მსოფლიო დონის ელექტრონული ბიბლიოთეკა
	ადგილობრივ კონტექსტსა და რეგულაციებზე მორგებული სახელმძღვანელო ინსტრუმენტები
	ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზა
	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების მიერ მომზადებული 95 000-ზე მეტი არაფინანსური ანგარიში
	კორპორაციული მდგრადობის თვითშეფასებისთვის საერთაშორისო ინსტრუმენტები სხვადასხვა თემატური მიმართულებით
შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო პროგრამებისა და პლატფორმების გამოყენებით	გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემიის ელექტრონული პლატფორმა
	საერთაშორისო ღონისძიებები (UN Global Compact Leaders Summit, UN Global Compact Private Sector Forum, the United Nations Climate Change Conference (COP), the UN Global Compact Uniting Business), რეგიონული ღონისძიებები, გლობალური ურთიერთსწავლების ვორქშოპები, ოფიციალური ვიზიტები ევროპარლამენტში, სასწავლო ვიზიტები შვედეთში
	გაეროს გლობალური შეთანხმების ნიუ იორკის ოფისთან თანამშრომლობით განხორციელებული აქსელერაციის პროგრამები
შესაძლებლობების განვითარება ადგილობრივი პროგრამებისა და პლატფორმების გამოყენებით:	რეგიონული და გლობალური ურთიერთსწავლების ჯგუფები მდგრადი დაფინანსება, SME
	გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის აკადემია
	სამოქმედო პლატფორმები: EU მდგრადობის ნავიგატორი; შრომა და ღირსეული სამუშაო; ბიზნესის კეთილსინდისიერება და კოლექტიური ძალისხმევა კორუფციის წინააღმდეგ; ცირკულარული ეკონომიკა; მდგრადი დაფინანსება
	ფლაგმანი ღონისძიებები: საერთაშორისო კონფერენცია - ბიზნესის კეთილსინდისიერება და კოლექტიური ძალისხმევა კორუფციის წინააღმდეგ; ბიზნესის და ადამიანის უფლებების ფორუმი; კორპორაციული მდგრადობის ჯილდო; SDG Roadshow; პარტნიორობის ფორუმი; დარეკე ზარი გენდერული თანასწორობისთვის; რეგიონული პარტნიორობის ფორუმი
	თემატური კონფერენციები
	ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები
2. სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა და პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ჩართულობა	
სახელმწიფო პოლიტიკა	კორპორაციული მდგრადობის (ESG) სტანდარტების, შესაბამისი ევროდირექტივებისა და ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ განახლებადი ინფორმაციის მიწოდება
თემატური სამუშაო ჯგუფები	კანონპროექტების განხილვის პროცესში მონაწილეობა და საჯარო-კერძო დიალოგში ჩართულობა (PPD)
საჯარო და კერძო თანამშრომლობა	წევრი კომპანიების/ორგანიზაციების მიერ 2030 დღის წესრიგთან შესაბამისობაში განხორციელებული პროექტების საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მომზადებულ სახელმწიფო ანგარიშებში წარმოჩენა

3. პარტნიორობის ხელშეწყობა	
მულტისექტორული თანამშრომლობა	ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელების სხვადასხვა ინდუსტრიისა და სექტორის წარმომადგენლებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა
	ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების შექმნა
	პარტნიორული პროექტების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა
სამოქმედო პლატფორმები	გაეროს გლობალური შეთანხმების საერთაშორისო ინიციატივებში მონაწილეობა
	ტრენინგების ორგანიზება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (CSO) კერძო სექტორის პრო-ბონო მენტორობის უზრუნველყოფა და პარტნიორობის ფორუმების ჩატარება, დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების შექმნა ურთიერთკავშირის დამყარებისა და იდეების გაზიარების, ასევე პოტენციური პარტნიორების იდენტიფიცირების მიზნით
4. კონსულტაცია და ინდივიდუალური ტექნიკური მხარდაჭერა	
მხარდაჭერა	მდგრადობის თემებსა და COP წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკაშირებით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა და ინდივიდუალური კონსულტაცია
	ინდივიდუალური მენტორინგის უზრუნველყოფა კორპორაციული მდგრადობის გლობალური სტანდარტებისა და მეთოდების შესახებ
	მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში არსებულ ქვეყნის ქსელებთან და მათ წევრ კომპანიებთან კავშირების დამყარების შესაძლებლობა
5. ლიდერობის აღიარება	
მედია მხარდაჭერა	ორგანიზაციის მდგრადობასთან დაკავშირებული წარმატებული პროექტების წარმოჩენა მედიასაშუალებებში
	ორგანიზაციის წარმოჩენა საქართველოში კორპორაციული მდგრადობის შესახებ გამოცემულ ერთადერთ ჟურნალში SUSTAINABILITY SPOTLIGHT
	მონაწილეობა ორ ყოველკვირეული სატელევიზიო რუბრიკაში: „საუბრები ბიზნესსა და ევროკავშირზე“ და „გზა მდგრადობისკენ“
	საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ნაკრები (Media Toolkit), შექმნილი ორგანიზაციის მდგრადობის ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მედიის საშუალებით გავრცელებისა და პოპულარიზაციისთვის
კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო	შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოთ კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში კორპორაციული მდგრადობის სტანდარტების განვითარებას და ბიზნესის წახალისებას, რათა უფრო აქტიურად ჩაერთოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში
ორგანიზაციისა და თანამშრომლის აღიარება	ორგანიზაციის თანამშრომლის გლობალურ დონეზე აღიარების შესაძლებლობა (SDG Pioneer)
	ორგანიზაციის ახალგაზრდა ინოვატორი თანამშრომლების გლობალურ დონეზე აღიარების შესაძლებლობა
საერთაშორისო ავტორიტეტი	მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანოს - გაეროს გლობალური ინიციატივის ხელისმომწერისა და ქსელის წევრის სტატუსის მინიჭება
	ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე წარმოჩენა
	გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე პირადი, გამორჩეული პროფილის შექმნა
	გაეროს გლობალური შეთანხმების მხარდაჭერის ლოგოს გამოყენების შესაძლებლობა

საწევრო წლიური ღირებულება

კომპანიის შემოსავალი	
< 25 მილიონი USD	650 USD
25-50 მილიონი USD	950 USD
50-250 მილიონი USD	2500 USD
250-500 მილიონი USD	5000 USD
500 მილიონი - 1 მილიარდი USD	7500 USD
მულტინაციონალური კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლობა	1000 USD

შემოგვიერთდით

რას ვაკეთებთ?

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მდგრადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და განათლების ხელშეწყობა

აქსელერაციის გლობალური პროგრამები

გაეროს გლობალური შეთანხმება მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისი პრაქტიკის დანერგვას კომპანიების ძირითად საქმიანობასა და ღირებულებათა ჯაჭვში, რათა 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევა დაჩქარდეს. გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისთან და სხვა ქვეყნების ქსელებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი საქართველოში აქსელერაციის ხუთ გლობალურ პროგრამას ახორციელებს: Target Gender Equality, SDG Ambition, Climate Ambition, SDG Innovation და Business and Human Rights.

ექვსთვიანი სესიებისა და მონაწილეებზე მორგებული აქტივობების საშუალებით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი უზრუნველყოფს გლობალური პროგრამების ეფექტურ ადაპტირებას ეროვნულ კონტექსტთან, რაც კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, მდგრადობასთან დაკავშირებული ვალდებულებები კონკრეტულ ქმედებებში გადაიტანონ.



SDG AMBITION

SDG AMBITION გაეროს გლობალური შეთანხმების გლობალური ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიების მხარდაჭერას, რომ მათ ძირითად სტრატეგიებსა და ოპერაციებში მდგრადი განვითარების მიზნებისა და ათი პრინციპის ინტეგრაცია მოხდეს. 2024 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, სერბეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის ქსელებთან თანამშრომლობით, პროგრამა მეოთხედ განახორციელა.

აღნიშნული ექვსთვიანი პროგრამა კომპანიებს პრაქტიკული ინსტრუმენტებითა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებით უზრუნველყოფს, რომ მათ ამბიციური მიზნების დასახვა და სისტემური ცვლილებების განხორციელება შეძლონ. SDG Ambition-ში მონაწილეობით, კომპანიები ზრდიან ცნობიერებას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს, რათა საკუთარი ბიზნეს-მოდელები 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

2024 წელს, ექვს სტრუქტურირებულ სასწავლო სესიაში მონაწილეობა მიიღო გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი 13 კომპანიის 25-მა წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, Authors Group, ჯეპრა, Georgia Capital, MINISO საქართველო, GGM, VDC, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაცია, Start – Business Solutions, სელფი მობაილი, აჭარისწყალი ჯორჯია და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი.

TARGET GENDER EQUALITY

Target Gender Equality გაეროს გლობალური შეთანხმების აქსელერაციის პროგრამაა, რომელიც მონაწილე კომპანიებს მხარს უჭერს გენდერული თანასწორობისა და ქალთა ლიდერობის გაძლიერებაში, მდგრადი განვითარების მე-5 მიზნისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში, კომპანიები განსაზღვრავენ მიზნებს ლიდერულ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისთვის, აფასებენ არსებულ ვითარებას და სახავენ სამოქმედო გეგმებს, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას მათ საქმიანობაში. პროგრამა ცხრა თვის განმავლობაში მიმდინარეობს.

2024 წელს ინიციატივაში ჩართული იყო 27 მონაწილე 14 ორგანიზაციიდან, მათ შორის: ჯეპრა, EY საქართველო, AIS, Georgia Capital, Authors Group, MBC, CENN, Austrian Georgian Development, Avon Cosmetics საქართველო, თეგეტა ჰოლდინგი, სელფი მობაილი, ბახვი ჰესი, Start – Business Solutions, Gepherrini Export, GGM Management და მისო ევროკრედიტი.

პროგრამის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გამართა კონფერენცია სახელწოდებით „ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“, სადაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისთვის პრაქტიკული გადაწყვეტილებების განსახილველად 50 მონაწილე შეიკრიბა.

CLIMATE AMBITION

Climate Ambition აქსელერაციის ექვსთვიანი პროგრამა მიზნად ისახავს გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე კომპანიების საჭირო ცოდნითა და უნარებით გაძლიერებას, რაც მათ 2050 წლისთვის სათბური აირების ნულოვანი ემისიების მისაღწევად პროგრესის დასაჩქარებლად ესაჭიროებათ.

პროგრამა ხორციელდება გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ Patrons Ørsted და Natura & Co-ს მხარდაჭერითა და En+ Group სპონსორობით. Climate Ambition ეფუძნება ისეთ ძირითად გლობალურ ინიციატივებს, როგორიცაა მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივა (SBTi), „ბიზნესის ამბიცია 1.5°C-ისთვის“ და კამპანია Race to Zero.

2024 წელს, UNGCNG-მ პროგრამა გაეროს გლობალური შეთანხმების საბერძნეთისა და სერბეთის ქსელებთან თანამშრომლობით განახორციელა. აქსელერაციის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედი 10 კომპანიის 20-მა წარმომადგენელმა, რომლებმაც დახვეწეს საკუთარი კლიმატის სტრატეგიები და ისინი შესაბამისობაში მოიყვანეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.

მონაწილე კომპანიებს შორის იყვნენ: EY Georgia, AIS, CENN, ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი, თეგეტა ჰოლდინგი, ბახვი ჰესი, Start – Business Solutions, აჭარისწყალი ჯორჯია , ბიოდიზელი ჯორჯია და RMG Copper.

SDG Innovation პროგრამა ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის

SDG Innovation აქსელერაციის პროგრამა ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის უნიკალური შესაძლებლობაა გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე კომპანიებისთვის. პროგრამა ახალგაზრდა პროფესიონალებს აძლევს საშუალებას, ითანამშრომლონ და შეიმუშავონ ინოვაციური ბიზნეს გადაწყვეტილებები, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG) შეესაბამება.

ინტენსიური ცხრათვიანი პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი ბიზნეს ლიდერებისა და ცვლილებების ინიციატორების პოტენციალის გამოვლენას. მონაწილეები მუშაობენ ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დანერგვაზე, უახლესი ტექნოლოგიების, ახალი ბიზნეს მოდელებისა და კრეატიული მიდგომების გამოყენებით, რათა საკუთარ კომპანიებში ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

2024 წელს პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 26-მა ახალგაზრდა პროფესიონალმა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი 10 კომპანიიდან. პროგრამა განხორციელდა კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელმაც მთელი პროცესის განმავლობაში უზრუნველყო აკადემიური მხარდაჭერა და მენტორობა. მონაწილე კომპანიებს შორის იყვნენ: Grant Thornton, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, EY Georgia, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, Space Cargo, კრისტალი, თეგეტა ჰოლდინგი, Sevsamora Resort and Spa, Polyvim და Kudos Georgia.

მონაწილეების მიერ შემუშავებული გამარჯვებული პროექტი შერჩეულ იქნა გაეროს გლობალური შეთანხმების ლიდერთა სამიტზე წარსადგენად, სადაც ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა, პროექტი ფართო აუდიტორიისთვის გაეცნოთ.

ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერაციის პროგრამა

ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერატორი ექვსთვიანი პროგრამაა, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე კომპანიებს მოუწოდებს, ადამიანის და შრომითი უფლებების მიმართულებით, ვალდებულებებიდან - კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდნენ.

პროგრამა კომპანიებს საშუალებას აძლევს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გააუმჯობესონ ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობა, რაც მიიღწევა რისკების იდენტიფიცირებით, სათანადო შეფასების (due diligence) დანერგვისა და ქმედითი გეგმების შემუშავებით.

2024 წელს ჩატარდა შვიდი სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18 კომპანიის 36-მა წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს ბანკის, თეგეტა ჰოლდინგის, ლიბერთი ბანკის, ელიტ ელექტრონიქსის, აჭარისწყალი ჯორჯიას, AIS-ის, MBC-ის, ვისოლ ჯგუფის, EFES საქართველოს, ჯეპრას, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის, გორგიას, MINISO საქართველოს, ქრაუნ პლაზა ბორჯომის, თიბისი ბანკის, COS – Concept of Safety-ისა და გრანთ თორნთონის წარმომადგენლები.

გარდა ამისა, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა უმასპინძლა რეგიონული ურთიერთსწავლების სესიას სახელწოდებით: „პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობა საქართველოსა და ცენტრალურ აზიაში“.

შეხვედრაზე, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა მონაწილეები საქართველოდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან, ერთმანეთს პრაქტიკული მაგალითები და გამოცდილება გაუზიარეს.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, ხუთმა კომპანიამ — AIS-მა, აჭარისწყალი ჯორჯიამ, EFES საქართველომ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა და ჯეპრამ, ექსპერტების მენტორობისა და ინდივიდუალურად მორგებული უკუკავშირის სესიების მხარდაჭერით, სამოქმედო გეგმები შეიმუშავეს.

ევროკავშირის (რეგიონული) ურთიერთსწავლების ჯგუფები

გაეროს გლობალური შეთანხმების ევროპის ქვეყნების ქსელებთან თანამშრომლობით ორგანიზებული ურთიერთსწავლების ჯგუფები აერთიანებს კომპანიებს მთელი ევროპიდან, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება და მდგრადობასთან დაკავშირებული საერთო გამოწვევების გადაჭრის გზების ერთობლივი მოძიება.

აღნიშნული ჯგუფები მონაწილეებისთვის წარმოადგენს პლატფორმას, სადაც მათ შეუძლიათ, ერთმანეთისგან ისწავლონ, გაიარონ კონსულტაციები კომპლექსურ საკითხებზე და დაამყარონ პარტნიორობა, რაც თავის მხრივ, კორპორაციული მდგრადობის წინსვლას უწყობს ხელს.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი და მისი მონაწილე კომპანიები აქტიურად არიან ჩართულნი შემდეგ ურთიერთსწავლების ევროპულ ჯგუფებში:

- ევროკავშირის ურთიერთსწავლების ჯგუფი ადამიანის უფლებების მიმართულებით
- ევროკავშირის ურთიერთსწავლების ჯგუფი კლიმატის მიმართულებით
- ევროკავშირის ურთიერთსწავლების ჯგუფი მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის (DEI) მიმართულებით

გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების ქსელებთან პარტნიორობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ხელს უწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს, რაც მონაწილე კომპანიებს საშუალებას აძლევს, დაუკავშირდნენ კოლეგებს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 19–20 სექტემბერს, ბერლინში, გაიმართა ევროპული ურთიერთსწავლების ჯგუფის მე-9 სესია ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში, რომელშიც გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.



სესიაში სახელწოდებით: „სამართლიანი გარდაქმნა: ადამიანის უფლებების გაძლიერება კლიმატის ქმედებებში", მონაწილეობა ევროპის მასშტაბით მომუშავე ექსპერტებმა და კომპანიების წარმომადგენლება მიიღეს. ღონისძიებაზე ადამიანის უფლებების კლიმატის სამოქმედო გეგმებსა და ინიციატივებში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე იმსჯელეს. ასევე, განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, ანგარიშგება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მწვანე ტრანზიცია.

საერთაშორისო ინიციატივები

SPARK: სასწავლო საზოგადოება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის

SPARK არის ახლადშექმნილი გლობალური საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ და განკუთვნილია სპეციალურად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რომლებსაც მდგრადობის მიზნების მისაღწევად პრაქტიკული და მიზნობრივი რჩევები ესაჭიროებათ.

ექსპერტების მიერ წარმართული სესიების, კავშირების დამყარების შესაძლებლობებისა და რეგიონისთვის სპეციფიკური ღონისძიებების მეშვეობით, SPARK მონაწილეებს აწვდის პრაქტიკულ ცოდნას და უზრუნველყოფს კავშირების ჩამოყალიბებას, რაც მათ მდგრადი განვითარების გზაზე წინსვლაში დაეხმარება.

2024 წელს SPARK-ის პლატფორმაზე დარეგისტრირდა ექვსი კომპანიის რვა წარმომადგენელი საქართველოდან. გარდა ამისა, მსხვილ კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, გაეფართოვებინათ წვდომა მიწოდების ჯაჭვში ჩართულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, მათ შორის იმ კომპანიებზეც, ვინც გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილე არ არის.

ინიციატივა FORWARD FASTER

2023 წელს დაწყებული ინიციატივა Forward Faster არის გაეროს გლობალური შეთანხმების სტრატეგიული მოწოდება, რომელიც მიმართავს კომპანიებს, საჯაროდ აიღონ ვალდებულება და იმოქმედონ ამბიციური მდგრადობის მიზნების მისაღწევად ხუთ ძირითად სფეროში: გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, საარსებო მინიმუმი, წყლის რესურსების მდგრადობა და ფინანსები და ინვესტიციები. მონაწილე კომპანიები ვალდებულნი არიან, ყოველწლიურად წარადგინონ ანგარიში მიღწეული პროგრესის შესახებ, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა 2024 წელს საინფორმაციო სესია გამართა და მისი ძირითადი თემები სხვადასხვა პროგრამულ აქტივობაში ჩართო. ჯამში, ინიციატივას შემოუერთდა 23 კომპანია, მათ შორის: აჭარა ჯგუფის ჰოლდინგი, AIS, Austrian Georgian Development, BL-Sigma, სელფი მობაილი, დომუსი, EFES საქართველო, გაზელ ფინანსი, საქართველოს ბანკი, კრისტალი, მისო ევროკრედიტი, პროკრედიტ ბანკი საქართველო, ლიბერთი ბანკი, EY Georgia, რუმს ჰოტელს ლაბი, სამედიცინო ცენტრი ციტო, MINISO საქართველო, Start-Business Solutions, თიბისი ბანკი, თეგეტა ჰოლდინგი, VDC და ვისოლ ჯგუფი.

მონაწილეობის შედეგად, კომპანიებმა ისარგებლეს პრინციპებზე დაფუძნებული ჰოლისტური ჩარჩოთი, რომელიც აძლევს ბიზნესს საშუალებას, შეუსაბამოს საკუთარი სტრატეგიები გლობალურ მიზნებს, გამოიყენოს შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს გრძელვადიან მდგრადობას და საერთო კეთილდღეობის მიღწევას ადამიანებისთვის, პლანეტისთვის და ბიზნესისთვის.

ადგილობრივი პროგრამები და პლატფორმები

სამოქმედო პლატფორმები

2024 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მონაწილე ორგანიზაციებისთვის წარმატებით წამოიწყო და განახორციელა ხუთი ადგილობრივი სამოქმედო პლატფორმა:

- ევროკავშირის მდგრადობის ნავიგატორი
- მდგრადი დაფინანსება
- ცირკულარული ეკონომიკა
- შრომა და ღირსეული სამუშაო
- ბიზნესის კეთილსინდისიერება და ერთობლივი ძალისხმევა კორუფციის წინააღმდეგ

აღნიშნული სამოქმედო პლატფორმები შეიქმნა მონაწილე ორგანიზაციებისთვის მიზნობრივი სემინარებისა და ურთიერთსწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფად, ცნობიერების ამაღლების, პოტენციალის გაზრდისა და ძირითად საკითხებზე დიალოგის ხელშეწყობის მიზნით. ადგილობრივი ბიზნესის წარმოების მეთოდების მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, თითოეული პლატფორმა ფუნქციონირებდა ცალკე სტრუქტურის ფარგლებში, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, გაზომვადი ინდიკატორებითა და ქმედითი გეგმებით.

ევროკავშირის მდგრადობის ნავიგატორი

ევროკავშირის მდგრადობის ნავიგატორი შეიქმნა იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ქართულ ბიზნესს ევროპულ სტანდარტებთან და რეგულაციებთან ადაპტირებაში, უზრუნველყოს მდგრადი პრაქტიკის დანერგვა და ხელი შეუწყოს დიალოგს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის. პლატფორმა მიზნად ისახავს ევროკავშირის ბაზარზე ქართული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მათი პოტენციალის გაძლიერებას ევროპული ინტეგრაციის გამოწვევების გადასაჭრელად.

სამოქმედო პლატფორმამ, ევროპის ბიზნეს ასოციაციასთან, შვედეთის ვაჭრობის ეროვნულ საბჭოსთან, გაეროს გლობალურ შეთანხმებასთან და გაეროს გლობალური შეთანხმების ფინეთის ქსელთან თანამშრომლობით, 2024 წელს ოთხი შეხვედრა გამართა, რომელშიც სხვადასხვა სექტორის 168 წარმომადგენელი მონაწილეობდა. აღნიშნულმა შეხვედრებმა საფუძველი ჩაუყარა პლატფორმას ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი თემების და საქართველოს ბიზნეს სექტორზე, მდგრადი განვითარების პრაქტიკასა და სავაჭრო შესაძლებლობებზე მათი გავლენის სიღრმისეული განხილვისთვის, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოტენციალის გაძლიერებასა და ცოდნის გაზიარებაში. შეხვედრებზე განხილული საკითხები მოიცავდა: კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივას, კორპორაციული მდგრადობის სათანადო შემოწმების რეგულაციას, ევროკავშირის რეგულაციას გაუდაბნოების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას და ევროკომისიის 2023 წლის ანგარიშს საქართველოს შესახებ.
პლატფორმამ წაახალისა დიალოგი, უზრუნველყო მიზნობრივი ტრენინგები და ხელი შეუწყო საერთაშორისო თანამშრომლობას. მისი მეშვეობით, ქართულ ბიზნესს მიეწოდა საჭირო ცოდნა და ინსტრუმენტები ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, რაც, თავის მხრივ, მდგრადი და კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ცირკულარული ეკონომიკა

ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო პლატფორმა ქართული ბიზნესის მიერ ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. პლატფორმა ფოკუსირებულია ინოვაციური ცირკულარული ბიზნეს მოდელების განვითარებაზე, ნულოვანი ნარჩენების პრინციპების პოპულარიზაციაზე, ნარჩენების მართვის სისტემების გაუმჯობესებაზე და სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

2024 წელს ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო პლატფორმამ სამი შეხვედრა ჩაატარა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა სექტორის 95 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეხვედრებმა ხელი შეუწყო ცოდნის გაზიარებას, გამოავლინა ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკაში არსებული პრობლემები და წარმატებები და წაახალისა სიტუაციის გაუმჯობესების რეალისტური სტრატეგიების შემუშავება. თანამშრომლობის ძირითადი თემები და მიმართულებები მოიცავდა:

- ცირკულარული ეკონომიკის მიმდინარე ინიციატივებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა, GIZ-ისა და CENN-ის მიერ პრეზენტაციების ჩათვლით.
- პრევენციული პრინციპების, ტრანზიციის პერიოდის ბარიერებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების შესწავლა, შვედეთის საელჩოსა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გარემოს დაცვის მენეჯერის შეხედულებების გათვალისწინებით.
- ადგილობრივ დონეზე ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების ტექნიკური სპეციფიკის, პრობლემებისა და წარმატებული ინიციატივების განხილვა ისეთი კომპანიების მონაწილეობით, როგორიცაა ბიოდიზელი ჯორჯია, ტენე, პარკი არ მინდა და Polyvim.

პლატფორმამ წარმატებით შეუწყო ხელი დიალოგს, ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობას, გარდა ამისა, მონაწილეები უზრუნველყო საჭირო ინსტრუმენტებით ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის, ასევე, ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სფეროში ინოვაციების სტიმულირებისთვის.

მდგრადი დაფინანსება

მდგრადი დაფინანსების სამოქმედო პლატფორმა შეიქმნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების (ESG) ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტეგრირების მხარდასაჭერად და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მისაღწევად ინვესტირების ხელშესაწყობად. პლატფორმა მიზნად ისახავს პასუხისმგებლიანი ბიზნეს მოდელების ჩამოყალიბებას და მონაწილეთა შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მათი ფინანსური სტრატეგიები გრძელვადიან მდგრადობის პრიორიტეტებს შეუსაბამონ.

2024 წელს პლატფორმამ ორი შეხვედრა გამართა, სადაც მონაწილეობა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. განხილულ ძირითად საკითხებს შორის იყო:

- ინიციატივა Forward Faster -ის ინიციატივის შესავალი და ფინანსებისა და ინვესტიციების შესახებ ძირითადი მასალები წარმოდგენილი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გარემოს დაცვის მენეჯერის მიერ.
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზენტაცია მდგრადი დაფინანსების ჩარჩო-დოკუმენტის შესახებ, რასაც მოჰყვა სიღრმისეული დისკუსიები მდგრად დაფინანსებში ორმაგი მატერიალურობის და ზემოქმედების თეზისის (impact thesis) კონცეფციებზე.

პლატფორმამ წარმატებით შეუწყო ხელი დიალოგს ფინანსური ნაკადების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხზე, ხოლო მონაწილეებს მიაწოდა შესაბამისი ინსტრუმენტები და ანალიტიკური მასალები, ასევე შეუქმნა კოლეგებთან გამოცდილების გაცვლისა და ურთიერთქმედების შესაძლებლობა, ESG სტანდარტების საქმიანობაში ინტეგრირებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის მიზნით.



ბიზნესის კეთილსინდისიერება და კორუფციასთან ბრძოლის ერთობლივი ძალისხმევა

ბიზნესის კეთილსინდისიერებისა და კორუფციასთან ბრძოლის ერთობლივი ძალისხმევის პლატფორმა მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს დაინტერესებულ მხარეებს, პარტნიორებსა და ექსპერტებს და მიზნად ისახავს საქართველოს კერძო სექტორში ბიზნესის კეთილსინდისიერების მდგრადი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრებისა და პარტნიორების კოლექტიური გამოცდილებისა და რესურსების გამოყენებით, პლატფორმა ეხმარება კომპანიებს კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში და ხელს უწყობს მდგრადი, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას.

კვარტალური შეხვედრები აერთიანებს მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებსა და მონაწილე კომპანიების იურისტებს და მათთვის ქმნის პლატფორმას გამოწვევების ერთობლივი განხილვის, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და შიდა სისტემების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული სესიების ფარგლებში, იმართება მასტერკლასები ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით, რომლებიც მონაწილეებს სთავაზობენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ისეთი თემების სიღრმისეულ შესწავლას, როგორიცაა შემთხვევების განხილვა, სისტემური აზროვნება და პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავება.

2024 წელს პლატფორმის სამი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი კომპანიების 45-მა წარმომადგენელმა. მონაწილეთა უმრავლესობა ფინანსური, რითეილისა და საკომუნიკაციო სექტორებიდან იყო წარმოდგენილი.

აღნიშნული პლატფორმა ბიზნესს უზრუნველყოფს საჭირო ინსტრუმენტებითა და თანამშრომლობის შესაძლებლობებით, რაც მათ საშუალებას აძლევს, გააძლიერონ კეთილსინდისიერება და ხელი შეუწყონ ეთიკური და მდგრადი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას საქართველოში.

შრომისა და ღირსეული სამუშაოს სამოქმედო პლატფორმა

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შექმნა შრომისა და ღირსეული სამუშაოს სამოქმედო პლატფორმა, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესებს სამართლიანი, ინკლუზიური და უფლებებზე დაფუძნებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვაში. პლატფორმის ფარგლებში გაიმართა ურთიერთსწავლების ჯგუფის სამი შეხვედრა, რომლებიც ფოკუსირებული იყო: დასაქმებისას დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, საარსებო მინიმუმის სტანდარტების დანერგვასა და ბავშვთა უფლებებისა და ბიზნესის პრინციპების დაცვაზე.

სესიებში მონაწილეობა მიიღო 52 კომპანიის 68-მა წარმომადგენელმა, რომლებსაც ორგანიზაციული და მიწოდების ჯაჭვის პრაქტიკების მეშვეობით, 25,600-ზე მეტ ადამიანზე დადებითი გავლენის მოხდენის პოტენციალი გააჩნიათ.

მთავარი მიღწევები

- გაიმართა სემინარები, რომლებიც მოიცავდა პრაქტიკულ რეკომენდაციებს სამართლიანი კომპენსაციისა და ინკლუზიური დასაქმების სტრატეგიების შესახებ.
- ხაზი გაესვა საარსებო მინიმუმის როლს სიღარიბის შემცირებაში, თანამშრომელთა კეთილდღეობასა და გრძელვადიან მდგრად განვითარებაში.
- ხელი შეეწყო ბავშვთა უფლებებისა და ბიზნესის პრინციპების ყოვლისმომცველ გააზრებას, რამაც ბიზნესებს საშუალება მისცა, პროაქტიულად დაეცვათ და მხარი დაეჭირათ ბავშვთა უფლებების დაცვისთვის საკუთარ საქმიანობასა და ღირებულებათა ჯაჭვში.

მონაწილეებმა, ასევე, განიხილეს გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივა Forward Faster, რომელიც მოუწოდებს კომპანიებს, აიღონ თამამი, საჯარო ვალდებულებები 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მხარდასაჭერად. შრომისა და ღირსეული სამუშაოს მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საარსებო მინიმუმის მიზნებს:

- **მიზანი 1**: 2030 წლისთვის ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საარსებო მინიმუმის შესაბამის ანაზღაურებით.
- **მიზანი 2:** დამკვეთებთან, მიწოდების ჯაჭვის პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უნდა შემუშავდეს ერთობლივი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავს ღირსეული ხელფასისა და შემოსავლის უზრუნველყოფას, განსაზღვრული ვადებითა და გაზომვადი შედეგებით.

დღეისათვის, ექვსმა ქართულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, შეასრულოს საარსებო მინიმუმის მიზანი ინიციატივა Forward Faster-ის ფარგლებში, რამაც პირდაპირი სარგებელი მოუტანა 10 200-ზე მეტ თანამშრომელს. მათგან ხუთმა კომპანიამ აიღო ვალდებულება პირველი მიზნის შესრულებაზე, ხოლო ერთმა კომპანიამ აიღო ვალდებულება როგორც პირველი, ასევე მეორე მიზნის შესრულებაზე.

ტრანსფორმაციული მმართველობა

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივით, 2025 წელს ამოქმედდება ტრანსფორმაციული მმართველობის პლატფორმა, რომელიც ბიზნესებს დაეხმარება, საკუთარ საქმიანობაში მმართველობისა და სამართლებრივი პრაქტიკების, ღირებულებათა ჯაჭვისა და ინსტიტუციური ჩარჩოები დანერგონ. პლატფორმა მონაწილეებს სთავაზობს მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებული იქნება ანგარიშვალდებულებაზე, ეთიკაზე, ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობაზე.

ტრანსფორმაციული მმართველობა კომპანიებს მოუწოდებს, გასცდნენ შესაბამისობის ჩარჩოებს, ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიან ბიზნეს ქცევას, გააძლიერონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების დანერგვა და წვლილი შეიტანონ საჯარო ინსტიტუტების, სამართლებრივი სისტემებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების მდგრადობაში. პლატფორმის მიზანია, მონაწილეები უზრუნველყოს ინსტრუმენტებითა და პარტნიორული ურთიერთობებით, რაც აუცილებელია მმართველობის სისტემების შესაქმნელად და ხელს უწყობს გრძელვადიან მდგრადობას, ნდობასა და დადებით გავლენას.

კორპორაციული მდგრადობის აკადემია

კორპორაციული მდგრადობის აკადემიის სასერტიფიკატო კურსი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა წარმატებით ჩაატარა კორპორაციული მდგრადობის აკადემიის 30-საათიანი სასერტიფიკატო კურსი, რომელიც სპეციალურად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (SMEs) შეიქმნა. კორპორაციული მდგრადობის აკადემიის ფარგლებში მომზადებულმა კურსმა მონაწილეებს მიაწოდა საბაზისო და პრაქტიკული ცოდნა მდგრადი განვითარების ძირითად თემებზე, მათ შორის:

- შესავალი კორპორაციული მდგრადობის საკითხებში
- ეთიკური ლიდერობა
- მმართველობა მდგრადობისთვის
- გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა
- კორპორაციული მდგრადობის ევროპული რეგულაციები და მათი გავლენა ქართულ ბაზარზე

კურსი გაიარა მცირე და საშუალო ბიზნესის 15-მა წარმომადგენელმა სხვადასხვა სექტორიდან, რომლებმაც შეიძინეს აუცილებელი ცოდნა მდგრადობის საკითხების ბიზნეს სტრატეგიებსა და ოპერაციებში ინტეგრირებისთვის.

ინიციატივა განხორციელდა USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით და შვედეთის მთავრობასთან თანამშრომლობით.

კურსი „ევროკავშირი და კორპორაციული მდგრადობა: შესაძლებლობები ქართული ბიზნეს სექტორისთვის “

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ჩაატარა 10-საათიანი სასერტიფიკატო კურსი „ევროკავშირი და კორპორაციული მდგრადობა: შესაძლებლობები ქართული ბიზნეს სექტორისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცოდნის გაღრმავებას ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის დღის წესრიგისა და ქართულ ბიზნესზე მისი გავლენის შესახებ.

კურსმა 20-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელს შესთავაზა ევროკავშირის იმ ძირითადი რეგულაციების, საკანონმდებლო ჩარჩოებისა და პოლიტიკური მიმართულებების ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რომელიც მდგრადი ბიზნესის მომავალს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ აყალიბებს.

განხილულ იქნა:

- ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის პოლიტიკა და რეგულაციები
- ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა და ევროკავშირის მწვანე შეთანხმება
- ევროკავშირის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ჩარჩო
- ევროკავშირში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო
- კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები
- ორმაგი მატერიალურობის პრინციპი კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) შესაბამისად

მონაწილეებისთვის ცოდნისა და ინსტრუმენტების მიწოდებით, კურსმა ხელი შეუწყო ქართულ კომპანიებს, თავიანთი საქმიანობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მდგრადი განვითარების სფეროში ცვალებადი მოთხოვნების შესასრულებლად მომზადებაში.

გაეროს გლობალური შეთანხმების ონლაინ აკადემიის ქართული შესავალი გვერდი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი 2025 წლის თებერვლისთვის გეგმავს გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემიის ვებსაიტზე ქართულენოვანი გვერდის ამოქმედებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა დაიწყო საგანმანათლებლო მასალების შემუშავება და თარგმნა, რათა უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა ქართული ბიზნესებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

თავდაპირველად, აქცენტი გაკეთდება ორი ონლაინ სასერტიფიკატო კურსის შექმნაზე, რომელიც კორპორაციული მდგრადობის შესახებ ანგარიშგების დირექტივას (CSRD) და კორპორაციული მდგრადობის სათანადო შეფასების დირექტივას (CSDDD) მიეძღვნება. გააქტიურების შემდეგ, აღნიშნული გვერდი იქცევა ამომწურავ რესურსად ქართული კომპანიებისთვის, სადაც წარმოდგენილი იქნება:

- მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საჭიროებებზე მორგებული მასალები
- სასერტიფიკატო კურსები ბიზნესის კეთილსინდისიერებისა და ერთობლივი ძალისხმევის შესახებ
- მოდულები მოლაპარაკების ტექნიკებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის
- სახელმძღვანელოები ევროკავშირის დამატებით დირექტივებსა და კორპორაციული მდგრადობის პრაქტიკებზე

ინიციატივა ასახავს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მზაობას, ხელი შეუწყოს კორპორაციული მდგრადობის შესახებ განათლებას და მიაწოდოს ქართულ კომპანიებს საჭირო ინსტრუმენტები და ცოდნა, რათა მათი საქმიანობა მდგრადობის გლობალურ სტანდარტებსა და ევროკავშირის რეგულაციებთან თანხვედრაში იყოს.

თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი განაგრძობს აკადემიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერებას მდგრადი განვითარების სფეროში განათლების ხელშეწყობისა და კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ძალისხმევის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის თანამშრომლები რეგულარულად კითხულობენ ლექციებს და მონაწილეობენ აკადემიურ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს დიალოგს სტუდენტებსა და მდგრადობის პროფესიონალებს შორის. 2024 წელს ლექციები გაიმართა რამდენიმე უნივერსიტეტში, მათ შორის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სადაც განხილული იყო ისეთი თემები, როგორიცაა: 2030 წლის დღის წესრიგი, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ბიზნესის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

2023 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა და კავკასიის უნივერსიტეტმა, პარტნიორობის ფორმალური გაფორმების მიზნით, ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მას შემდეგ, კავკასიის უნივერსიტეტი მასპინძლობს მდგრადი განვითარების მიზნების ინოვაციის აქსელერაციის პროგრამას ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, რომელიც გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. პროგრამა შვედეთის მხარდაჭერით, პროექტის - „ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება. მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის მე-2 საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციაში, სადაც ორგანიზაციის პროექტებისა და ფონდების მოძიების მიმართულების ხელმძღვანელმა, ბაკურ კვარაცხელიამ, ისაუბრა აკადემიურ პარტნიორობაზე და ხაზი გაუსვა განათლების პასუხისმგებლიანი მენეჯმეტის პრინციპებს(PRME), რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივას წარმოადგენს და მიზნად ისახავს მდგრადობის ინტეგრირებას უმაღლეს განათლებაში.

ასევე, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მხარი დაუჭირა კორპორაციული მდგრადობის კურსების დანერგვას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების დონეზე. ეს ძალისხმევა ასახავს მდგრადობის, როგორც თანამედროვე განათლების უმნიშვნელოვანესი ელემენტის მზარდ აღიარებას და ხაზს უსვამს მის აუცილებლობას ასევე, მომავალი თაობის ლიდერების მომზადების მნიშვნელობას, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ ეთიკურ, ინკლუზიურ და მდგრად ბიზნეს პრაქტიკებს.

ადგილობრივი ქსელების გაცვლითი პროგრამა

2024 წლის ივლისში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდის წარმომადგენლები, გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით, ნიუ-იორკში, გაეროს გლობალური შეთანხმების სათაო ოფისში იმყოფებოდნენ. ვიზიტი ემსახურებოდა სათაო ოფისთან სტრატეგიული შესაბამისობის გაძლიერებას და სათაო ოფისისა და რეგიონულ გუნდებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მონაწილე კომპანიებისთვის მაღალი ხარისხის პროგრამებისა და მომსახურების მიწოდებას.

ვიზიტის ფარგლებში განიხილეს 2025 წლის პროგრამული პრიორიტეტები, გაეროს გლობალური შეთანხმების პროგრამების რეგიონალიზაცია და ლოკალიზაცია, ინიციატივა Forward Faster-ის განხორციელება, ასევე აქსელერაციის პროგრამებისა და აკადემიის გაფართოება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანური რესურსების მართვაში კოორდინაციის გაუმჯობესებას.

გაცვლითი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შეფასება, თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა თემატურ მიმართულებებზე, მათ შორის, ფინანსების, პროგრამების, ადმინისტრაციული და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით მომუშავე პროფესიონალებს, უფრო ეფექტიანად ითანამშრომლონ სათაო ოფისის შესაბამის სტრუქტურებთან და ადგილობრივი ქსელების გუნდებთან, ოპერაციული შედეგების და საერთო ზემოქმედების გასაძლიერებლად. გაცვლითი პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ქსელების ზრდისა და ინსტიტუციური მდგრადობის განმტკიცებაში, ამასთანავე, აუმჯობესებს ბიზნესის წარმომადგენლებისთვის გაწეული მხარდაჭერის ხარისხსა და შესაბამისობას.

პროგრამამ გააერთიანა სხვადასხვა ქვეყნების ქსელების წარმომადგენლები, მათ შორის საბერძნეთიდან, სერბეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან და აზერბაიჯანიდან, რაც ხაზს უსვამს ერთობლივი სწავლებისა და ქსელთაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს წარმოადგენდნენ: აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი, ფინანსური ხელმძღვანელი თემურ ტყეშელაშვილი, ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ანა დგებუაძე და აქსელერაციის პროგრამებისა და აკადემიის მენეჯერი ქეთი ბოჭორიშვილი.

კვლევები და საგანმანათლებლო პროდუქტები

კვლევა: ქართული ბიზნეს-სექტორის თვალით დანახული მდგრადი განვითარების მიზნები

2023 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა წამოიწყო მნიშვნელოვანი კვლევითი პროექტი: „ქართული ბიზნეს-სექტორის თვალით დანახული მდგრადი განვითარების მიზნები“. კვლევა, რომელიც EY Georgia-მ ჩაატარა, მიზნად ისახავდა ქართული ბიზნესის წვლილის შეფასებას მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში და იმ საკვანძო სფეროების იდენტიფიცირებას, სადაც ჩართულობისა და გავლენის გაძლიერებაა საჭირო.

2024 წელს, კვლევის შედეგები ორ მაღალი დონის ღონისძიებაზე იქნა წარმოდგენილი:

- **ფორუმი “პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნებისთვის”** (Partnerships4SDGs) (ბათუმი, 14 ივნისი): კონფერენცია თემაზე „ინვესტირება მომავალში — მდგრადი დაფინანსება“ იქცა პლატფორმად, სადაც განიხილეს მდგრადი დაფინანსების როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში. ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა კვლევის ძირითადი შედეგები. გარდა ამისა, აღინიშნა როგორც მიღწეული პროგრესი, ასევე, სფეროები, სადაც კერძო სექტორის მხრიდან შემდგომი ქმედებების განხორციელებაა საჭირო.
- **გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გენერალური ასამბლეა** (თბილისი, 27 ივნისი): გენერალური ასამბლეის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა EY Georgia-ს მიერ მომზადებული მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის ანგარიში (SDGs Progress Report), სადაც ყურადღება გამახვილდა ბიზნესის წვლილზე მდგრად განვითარებაში და გამოიკვეთა შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობს გლობალურ მდგრადობის მიზნებთან უფრო მჭიდრო შესაბამისობას.

კვლევა ხელს უწყობს ცოდნის ბაზის შექმნას, რომელიც კომპანიებს ეხმარება საკუთარი სტრატეგიების მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) შესაბამისობაში მოყვანაში, ასევე, აძლიერებს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, როგორც საქართველოში მდგრადი განვითარების პროგრესის კატალიზატორის როლს.

კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2024: პუბლიკაცია „ბიზნესი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მოამზადა ორენოვანი პუბლიკაცია „ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“, სადაც წარმოდგენილია 2024 წლის კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს ყველა ნომინანტი პროექტი. პუბლიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, წარმოაჩენს კერძო სექტორის მიერ წარდგენილ 110 პროექტს, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად ინოვაციურ, პრაქტიკულ მიდგომებს იყენებს. პროექტები დაყოფილია ჯილდოს ნომინაციების თემების მიხედვით და შეესაბამება კონკრეტულ მდგრადი განვითარების მიზნებს. ეს კი მკითხველს საშუალებას აძლევს, გაეცნოს სხვადასხვა სექტორში მდგრადობის კუთხით პრაქტიკული საქმიანობის მრავალფეროვან მაგალითებს.

პუბლიკაცია არა მხოლოდ წარმოაჩენს კერძო სექტორის წვლილს 2030 დღის წესრიგის განხორციელებაში, არამედ წარმოადგენს ცოდნის გაზიარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც შთააგონებს სხვა კომპანიებს, დაიწყონ ან გააფართოვონ მდგრადობის ეფექტური ინიციატივები.

საჯარო-კერძო დიალოგის გზამკვლევი

საჯარო-კერძო დიალოგის გზამკვლევი, რომელიც, თავდაპირველად, 2023 წელს, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტისთვის შეიქმნა, 2024 წელს ინგლისურ ენაზე ითარგმნა, რათა მისი ხელმისაწვდომობა და გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო არა მხოლოდ ეროვნულ კონტექსტში. გზამკვლევი ასახავს სტრუქტურირებულ, პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს ღია და ეფექტიან დიალოგს კერძო და საჯარო სექტორის აქტორებს შორის.

დოკუმენტი ხაზს უსვამს გამჭვირვალობას, ინკლუზიურობასა და ანგარიშვალდებულებას, როგორც ნდობის ჩამოყალიბებისა და თანამშრომლობის მნიშვნელოვან საყრდენებს. პრაქტიკული ინსტრუმენტების, ჩარჩოებისა და თვალსაჩინო მაგალითების მიწოდებით, სახელმძღვანელო მხარს უჭერს ინსტიტუტებს უფრო მოქნილი მმართველობის სისტემების შექმნაში და ხელს უწყობს კომპანიებს, ჩაერთონ დიალოგში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

გზამკვლევი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის საქართველოში

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მოამზადა და გამოსცა პირველი გზამკვლევი გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე, რომელიც სპეციალურად ქართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საჭიროებებზეა მორგებული. ქართულ ენაზე მომზადებული გზამკვლევი წარმოადგენს ESG სტანდარტების ხელმისაწვდომ და პრაქტიკულ აღწერას და ასევე, განმარტავს მათ მნიშვნელობას მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ოპერირებისთვის.

პუბლიკაცია მკითხველს სთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებს ESG სტანდარტების ჩარჩოს დასანერგად, შიდა შესრულების მეტრიკების დასადგენად, რისკებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და ბიზნეს მოდელების მდგრადობის პრინციპებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხშირად შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, გზამკვლევი ასევე მოიცავს გამარტივებულ ინსტრუმენტებსა და სტრატეგიებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტების ეტაპობრივი ინტეგრირების მხარდასაჭერად. აღნიშნული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შესაძლებლობების განვითარებაში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული მხარეების მზარდი მოლოდინების, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ინვესტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ESG ტერმინების ქართულენოვანი განმარტებითი ლექსიკონი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, შექმნა პირველი ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე.

ლექსიკონი აერთიანებს მკაფიოდ განსაზღვრულ ტერმინოლოგიას, რომელიც ეხება ESG საკითხების ანგარიშგებას, მდგრად დაფინანსებას, გავლენის გაზომვასა და კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

ESG კონცეფციების სწრაფი განვითარების და მათი ბიზნესსა და მარეგულირებელ გარემოში მზარდი გამოყენების ფონზე, აღნიშნული პუბლიკაცია ავსებს ცოდნის კუთხით არსებულ ხარვეზს — ხელს უწყობს კომპანიებს, ინვესტორებს, მარეგულირებლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას საერთო ენის ჩამოყალიბებაში. ლექსიკონი განსაკუთრებით ღირებულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის და ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე, რადგან ხელს უწყობს, უფრო თავდაჯერებულად და მკაფიოდ გაერკვნენ ESG მონაცემების გამჟღავნებისა და პოლიტიკის საკითხებში. ის, ასევე, მხარს უჭერს მენტორებსა და ტრენერებს მდგრადობის შესახებ თანმიმდევრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაში.

საკვანძო საერთაშორისო პუბლიკაციების თარგმნა ქართულ ენაზე

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა თარგმნა გაეროს გლობალური შეთანხმებისა და მისი პარტნიორების მიერ შემუშავებული რამდენიმე საკვანძო პუბლიკაცია, რათა საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკული რეკომენდაციები უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ქართული კომპანიებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. მასალები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების ლოკალიზაციასა და პრაქტიკაში დანერგვას.

1. სწორხაზოვნებიდან ცირკულარულობამდე

თავდაპირველად გაეროს გლობალური შეთანხმების შვედეთის ქსელის მიერ მომზადებული ეს პუბლიკაცია იკვლევს სწორხაზოვანი ეკონომიკური მოდელიდან- ცირკულარულზე გადასვლის პროცესს. მისი ქართული თარგმანი ხელს უწყობს ადგილობრივ ბიზნესებს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვაში, განსაკუთრებით, ნარჩენების შემცირების, რესურსების ეფექტურობისა და დახურული ციკლის სისტემების განვითარებაში. პუბლიკაცია კომპანიებს ეხმარება პროდუქტის დიზაინის, ღირებულების ჯაჭვებისა და ბიზნესმოდელების გადახედვაში, რათა ისინი მეტად შეესაბამებოდეს მდგრადობის გლობალურ ტენდენციებს.

2. Forward Faster -ის სამოქმედო გზამკვლევები

გენდერული თანასწორობის, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის, საარსებო მინიმუმის, წყლის მდგრადი რესურსების, ასევე ფინანსებისა და ინვესტიციების შესახებ ხუთი სამოქმედო გზამკვლევი ქართულ ენაზე ითარგმნა, რათა ხელი შეუწყოს ქართულ კომპანიებს, შეუერთდნენ ინიციატივას Forward Faster.

თითოეული გზამკვლევი მოიცავს პრაქტიკულ ნაბიჯებს, პროგრესის მაჩვენებლებსა და რეალურ მაგალითებს, რომლებიც კომპანიებს ეხმარება მეცნიერულად დასაბუთებული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიზნების დასახვაში. თარგმანების მიზანია, ხელი შეუწყოს ამ ამბიციური მიზნების განხორციელებასა და ინფორმირებულ ვალდებულებათა აღებას ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

3. პროგრესის შესახებ კომუნიკაციის (CoP) კითხვარი და პოლიტიკა

2023 წელს ანგარიშგების ახალი საერთაშორისო ფორმატის შემოღებასთან დაკავშირებით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა თარგმნა განახლებული CoP კითხვარი და პოლიტიკა ქართულ ენაზე, გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიშვალდებულების სისტემაში ადგილობრივი კომპანიების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული რესურსი საწარმოებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ ანგარიშგების ვალდებულებები

და უზრუნველყონ ხარისხიანი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპსა და მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) შეესაბამება.

4. **კორუფციის წინააღმდეგ ერთობლივი ძალისხმევის სახელმძღვანელო**

პუბლიკაცია ითარგმნა გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის ფარგლებში, კორუფციასთან ბრძოლის სფეროში ერთობლივი ძალისხმევის გასაძლიერებლად. სახელმძღვანელო გვთავაზობს სტრუქტურირებულ, ექვსსაფეხურიან მიდგომას კორუფციის რისკების იდენტიფიცირებისთვის, დაინტერესებული მხარეების ჩასართავად და კოორდინირებული სტრატეგიების დანერგვისთვის, რისკების შემცირებისა და კეთილსინდისიერების გაძლიერების მიზნით. პუბლიკაციის ქართული ვერსია კომპანიებს, ქსელებსა და ინსტიტუტებს აწვდის პრაქტიკულ მეთოდოლოგიებს ეთიკური ბიზნეს პრაქტიკების განვითარებისა და გამჭვირვალე ეკოსისტემების შექმნისთვის.

5. **საქართველოს ეროვნული ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების სახელმძღვანელო**



გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა თარგმნა საქართველოს ეროვნული ბანკის ESG სახელმძღვანელო პრინციპები, რათა ხელი შეუწყოს ფინანსური სექტორისა და ფართო ბიზნეს საზოგადოების საქმიანობის ეროვნულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. სახელმძღვანელო განსაზღვრავს მოლოდინებს ESG რისკების მართვის, ანგარიშგებისა და კორპორაციული მმართველობის პრაქტიკებთან დაკავშირებით. მისი ქართული თარგმანი კომპანიებს ეხმარება სახელმძღვანელო პრინციპების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკაში დანერგვაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უფრო მდგრადი ფინანსური და კორპორაციული სისტემების ჩამოყალიბებას.

შეხვედრა მედიასთან: "მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის"

2024 წლის 13-14 ივნისს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ბათუმში, მედიასთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მიზანი იყო მედიასა და კორპორაციული მდგრადობის სფეროს წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში კორპორაციული მდგრადობის, ბიზნეს ეთიკისა და კერძო სექტორის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაღრმავება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული, ისე რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა. შეხვედრა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა გახსნა, რომელმაც მონაწილეებს გაეროს გლობალური შეთანხმების მანდატი გააცნო და საქართველოში ქსელის ძირითადი აქტივობები მიმოიხილა.

სემინარზე რამდენიმე მოწვეული სპიკერი წარსდგა, რომლებმაც მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება და ხედვები გაუზიარეს:

- **თინა გენებაშვილმა,** შვედეთის საელჩოს პროგრამების ოფიცერმა, გააზიარა ინფორმაცია განვითარების სფეროში შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიის შესახებ და ხაზი გაუსვა მუდმივ საქართველოში მდგრადი განვითარების ინიციატივებისადმი მხარდაჭერას.
- **ოთარ ანთიამ,** ინვესტორთა საბჭოს მწვანე ეკონომიკის ექსპერტმა, მიმოიხილა მწვანე ეკონომიკის პრინციპები, პოლიტიკის ჩარჩოები და მდგრად ბიზნეს მოდელებზე გადასვლის მნიშვნელობა.
- **ტაპი ზაქარიაძემ,** ლიბერთი ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელმძღვანელმა, წარმოადგინა ბანკის კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია პასუხისმგებლიან სესხებზე, საზოგადოების ჩართულობასა და ESG საკითხების ინტეგრირებაზე.
- **ელგუჯა ამოზაშვილმა,** EFES საქართველოს იურიდიულ საკითხთა მენეჯერმა, ისაუბრა ისეთ ძირითად თემებზე, როგორიცაა კორპორაციული შესაბამისობა, ბიზნეს ეთიკა, ანტიკორუფციული მექანიზმები და ინტერესთა კონფლიქტის მართვა.

ორდღიანმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მედიის გადამწყვეტი როლი გამჭვირვალობის ხელშეწყობაში, დაინტერესებული მხარეების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და პასუხისმგებლიანი ბიზნესპრაქტიკის პოპულარიზებაში.

მედიის წარმომადგენლებს მიეწოდათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული ინსტრუმენტები, რათა მათ შეძლონ კორპორაციული მდგრადობის საკითხების უფრო ეფექტიანად გააშუქება და განამტკიცონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი დისკურსის ფორმირებაში.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გენერალური ასამბლეები

გენერალური ასამბლეა – 2024 წლის 27 ივნისი

27 ივნისს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გენერალური ასამბლეა გამართა, რომელშიც მონაწილეობა წევრი კომპანიების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს. ღონისძიება გახსნეს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა, გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილმა და შვედეთის საელჩოს პროგრამების ოფიცერმა, თინა გენებაშვილმა. სალომე ზურაბიშვილმა წარადგინა პრეზენტაცია, რომელშიც ქსელის ძირითადი საქმიანობა და 2024 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მიღწეული შედეგები მიმოიხილა. ტრადიციისამებრ, გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ოფიციალურად წარადგინეს ახლად გაწევრიანებული კომპანიები და გადასცეს წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მათ ერთგულებას გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიმართ. ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო EY Georgia-ს მიერ მომზადებული მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის შეფასების ანგარიშის წარდგენა. EY Georgia-ს სახელმწიფო და საჯარო პრაქტიკის ხელმძღვანელმა, ნინო ესაკიამ დამსწრეებს ანგარიშის მთავარი მიგნებები გააცნო, რომელიც 2023 წელს ჩატარებულ ეროვნულ გამოკითხვას ეფუძნებოდა. გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის დაკვეთით და შვედეთის მთავრობის დაფინანსებით მომზადებულმა ანგარიშმა მონაწილეებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში კერძო სექტორის ჩართულობის შესახებ და გამოავლინა ძირითადი მიმართულებები შემდგომი გაუმჯობესებისა და ქმედებების დაგეგმვისთვის.

გენერალური ასამბლეა და გამგეობის არჩევნები

17 დეკემბერს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა წლის შემაჯამებელი გენერალური ასამბლეა გამართა, რომლის ფარგლებშიც, ახალი გამგეობა ორი წლის ვადით აირჩიეს. კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა მიიღო ქსელის 101-მა წევრმა, რაც მონაწილეთა მაღალი ჩართულობისა და პასუხისმგებლობის მაჩვენებელია.

ახლადარჩეული გამგეობის შემადგენლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ანგარიშის მე-3 გვერდზე.

არჩევნების შემდეგ, ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, ქსელის 2024 წლის ძირითადი მიღწევების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა და მომავალი წლის სტრატეგიულ პრიორიტეტებზე ისაუბრა. გარდა ამისა, ღონისძიებაზე წარადგინეს ქსელის ახალი წევრები, რომლებსაც სერტიფიკატები გადაეცათ.

მონაწილეობა პარტნიორი ორგანიზაციების ღონისძიებებში

2024 წლის განმავლობაში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი მდგრადობის პრინციპების პოპულარიზაციის, დიალოგის ხელშეწყობისა და სექტორებს შორის პარტნიორობის გაძლიერების მიზნით, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ კონფერენციებსა და საჯარო ფორუმებში.

საერთაშორისო კონფერენცია ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო კვანტრიშვილმა და ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელმა, რატი ზაუტაშვილმა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ინოვაციების და მეწარმეობის შესახებ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ნინო კვანტრიშვილმა დამსწრეებს სიტყვით მიმართა და გაეროს გლობალური შეთანხმების მისიაზე ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას ინოვაციების, მეწარმეობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერაში. ღონისძიებას კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პანელური დისკუსია კორპორაციული მდგრადობისა და ანგარიშგების შესახებ

22 მაისს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო კვანტრიშვილმა და ბიზნესთან ურთიერთობისა და პარტნიორული პროექტების მენეჯერმა, ლიზი ლეჟავამ, მონაწილეობა მიიღეს CENN-ის მიერ ორგანიზებულ პანელურ დისკუსიაში კორპორაციული მდგრადობისა და ანგარიშგების შესახებ.

ნინო კვანტრიშვილმა გლობალური ანგარიშგების სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე ისაუბრა, ხოლო ლიზი ლეჟავამ დამსწრეებს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივები გააცნო და ხაზი გაუსვა ქსელის როლს საქართველოში კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობის საქმეში.

ნორდიკული ფესტივალი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, მონაწილეობა მიიღო ნორდიკულ ფესტივალში, რომელიც 8–9 ივნისს გაიმართა. მან მოდერაცია გაუწია თემატურ პანელს კორპორაციული მდგრადობის შესახებ, სადაც დისკუსიები გაიმართა ნორდიკული გამოცდილების, მდგრადი ბიზნესპრაქტიკებისა და ამ კონტექსტში, საქართველოში არსებული გამოწვევების შესახებ. შვედეთის, ნორვეგიის, დანიისა და ფინეთის საელჩოების მიერ ორგანიზებულმა ფესტივალმა წარმოაჩინა ნორდიკული ღირებულებები და ინოვაციები სხვადასხვა სექტორში, მათ შორის - ბიზნესში, ურბანულ განვითარებაში, ტექნოლოგიებსა და საზოგადოებრივ ჩართულობაში.

საერთაშორისო კონფერენცია უნივერსიტეტების მესამე მისიის შესახებ

14 ნოემბერს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის პროექტებისა და ფონდების მოძიების მიმართულების ხელმძღვანელმა, ბაკურ კვარაცხელიამ მონაწილეობა მიიღო კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მე-2 საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციაში - „მესამე მისიის როლი უნივერსიტეტებში: ადგილობრივი და გლობალური პერსპექტივა". პანელურ დისკუსიაზე, სახელწოდებით, „დონორები უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჩართულობისთვის", სიტყვით გამოსვლისას, მან გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობის მაგალითების შესახებ ისაუბრა. ბაკურ კვარაცხელიამ წარმატებული პარტნიორობის მაგალითებად დაასახელა განათლების პასუხისმგებლიანი მენეჯმეტის პრინციპები (PRME)" და მდგრადი განვითარების მიზნების ინოვაციის აქსელერაციის პროგრამა ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის.

მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში

მსოფლიო HR სამიტი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი, ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი რატი ზაუტაშვილი და გარემოს დაცვის მენეჯერი მეგი შუბალიძე ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდნენ, სადაც მსოფლიო HR სამიტში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებას ესწრებოდა 500-ზე მეტი მონაწილე 50-ზე მეტი ქვეყნიდან.

სალომე ზურაბიშვილმა ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მან ყურადღება გაამახვილა საქართველო-აზერბაიჯანის ისტორიულ პარტნიორობაზე, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიმართულებით განხორციელებულ ერთობლივ პროექტებზე. სალომე ზურაბიშვილმა, ასევე, ისაუბრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მიზნებიდან ჯერ მხოლოდ 15%-ია შესრულებული. მან ხაზი გაუსვა თანამშრომლობის მნიშვნელობას პროგრესის დასაჩქარებლად. სიტყვით გამოსვლისას, სალომე ზურაბიშვილმა, ასევე, ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად წარმოქმნილ გლობალურ გამოწვევებზე და ხაზი გაუსვა ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობას.

სალომე ზურაბიშვილმა ღონისძიების მონაწილეებს გაეროს გლობალური შეთანხმების რეკომენდაციები და ის შესაძლებლობები გააცნო, რომელიც კომპანიებს მსოფლიოს ყველაზე დიდ კორპორაციული მდგრადობის ინიციატივაში ჩართვით უჩნდებათ.

სამიტის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდი შეხვდა აზერბაიჯანში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრებს, სადაც სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობას და საქართველოს ქსელის საქმიანობა და მიღწევებზე ისაუბრა. შეხვედრაზე ასევე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

გარდა ამისა, საქართველოს ქსელის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ღონისძიებაში მონაწილე ქართულ კომპანიებთან. მათ წარადგინეს პრეზენტაცია ქსელის საქმიანობის შესახებ, ხაზი გაუსვეს კერძო სექტორის როლს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის წინსვლაში

და ყურადღება გაამახვილეს ბიზნეს ოპერაციებში კორპორაციული მდგრადობის ინტეგრირების უპირატესობებზე.

ვიზიტმა კიდევ უფრო მეტად გააძლიერა პარტნიორობა ქართულ და აზერბაიჯანულ ბიზნეს სექტორს შორის და საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობის გაგრძელებას მდგრადი განვითარებისა და კორპორაციული მდგრადობის ინიციატივების ხელშეწყობის მიმართულებით.

გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების ყოველწლიური ფორუმი და გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის სხდომა

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, დირექტორის მოადგილემ, ნინო კვანტრიშვილმა და ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელმა, რატი ზაუტაშვილმა 19-22 მარტს, მონაწილეობა მიიღეს ტოკიოში გამართულ გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების ყოველწლიურ ფორუმში.

სალომე ზურაბიშვილმა, როგორც გლობალური ქსელების საბჭოს თანათავმჯდომარემ და გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის წევრმა, ისაუბრა პანელურ დისკუსიაზე, რომელიც მიეძღვნა ხელსაყრელი გარემოს ფორმირებას და გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილეებისთვის ძირითადი პრიორიტეტებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდი აქტიურად მონაწილეობდა ფორუმის თემატურ სესიებსა და სამუშაო ჯგუფებში, სადაც გაეროს გლობალური შეთანხმებისა და სხვადასხვა ქვეყნის ქსელების საქმიანობა და სამომავლო გეგმები განიხილებოდა. ძირითადი თემები მოიცავდა პროგრამულ პრიორიტეტებს და მიმდინარე ინიციატივებს, რომლებიც გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს ეხება.

მონაწილეებმა, ასევე, განიხილეს ორგანიზაციის ზრდის სტრატეგია, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა Forward Faster ინიციატივაში, საჯარო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგირება გლობალურ და ადგილობრივ დონეზე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გაძლიერება, სექტორული მიდგომა ბიზნესის ჩართულობისადმი და მრავალსექტორული თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები.

ფორუმის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა ორმხრივი შეხვედრები გამართა, სადაც სამომავლო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები განიხილეს.

ამასთან, 18-19 მარტს, ტოკიოში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, მონაწილეობა მიიღო გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის სხდომაში.

ორდღიანი სხდომის განმავლობაში, დისკუსიები შეეხო გაეროს გლობალური შეთანხმების 2023 წლის მიღწევებს, ადგილობრივი ქსელების მიერ მიღწეულ პროგრესს და კერძო სექტორის მიერ ათი პრინციპის დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, ძალისხმევის დაჩქარების აუცილებლობას.

19 მარტს, საბჭოს სხდომას გაეროს გენერალური მდივანი, ანტონიო გუტერეშიც შეუერთდა. სესიაზე განიხილეს გაეროს გლობალური შეთანხმებისა და ადგილობრივი ქსელების როლი კერძო სექტორის ყველა თანამშრომლისთვის ღირსეული ანაზღაურების უზრუნველყოფაში.

სალომე ზურაბიშვილი გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის წევრად 2023 წლის თებერვალში აირჩიეს და ერთი წლის განმავლობაში, იგი 62 ადგილობრივ ქსელს წარმოადგენდა.

სესიის შემდეგ, სალომე ზურაბიშვილმა და გამგეობის სხვა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების ყოველწლიური ფორუმის გახსნაზე გამართულ პანელურ დისკუსიაში. ღონისძიებებზე ხაზი გაესვა გაეროს გლობალური შეთანხმების მისწრაფებებს, ადვოკატირებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას კერძო სექტორის პროგრესისთვის ხელის შესაწყობად.

სამუშაო ვიზიტი ორგანიზებული იყო გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ, შვედეთის მხარდაჭერით.

კონფერენცია „გაეროს გლობალური შეთანხმება: ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის კატალიზატორი “

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, დირექტორის მოადგილემ, ნინო კვანტრიშვილმა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა, თამარ ღუნაშვილმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში სახელწოდებით: „გაეროს გლობალური შეთანხმება: ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის კატალიზატორი“, რომელიც, 17-18 აპრილს, ბრიუსელში, გაიმართა.

კორპორაციული მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის საკითხებზე მნიშვნელოვანი დიალოგისთვის, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპარლამენტის წევრებმა, ევროკომისიის წარმომადგენლებმა, გაეროს გლობალური შეთანხმების წევრმა კომპანიებმა და გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების აღმასრულებელმა დირექტორებმა, ევროპის მასშტაბით.

დისკუსიებისას განიხილეს, თუ როგორ შეუძლია გაეროს გლობალურ შეთანხმებას და მის ადგილობრივ ქსელებს, ითანამშრომლოს ევროპულ ინსტიტუტებთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიებს ისეთი ახალი რეგულაციების შესრულებაში, როგორიცაა კორპორაციული მდგრადობის სათანადო შეფასების დირექტივა (CSDDD) და კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD). აღნიშნული რეგულაციები მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კომპანიების მდგრად და პასუხისმგებლიან ქცევას გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების ყველა ეტაპზე. გაეროს გლობალური შეთანხმება მიზნად ისახავს, დაეხმაროს კომპანიებს შესაბამისობის სტანდარტების დაცვაში, მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნებისკენ სწრაფვაში, მათი გავლენის გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

კონფერენცია იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, რომელმაც ხაზი გაუსვა ბიზნესის შესაძლებლობებს მდგრადობის გავლენისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაეროს გლობალური შეთანხმების წამყვან როლს ბიზნეს სტრატეგიების ევროკავშირის დღის წესრიგთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, მისი ინიციატივებისა და პროგრამების მეშვეობით.

მომხსენებლებს შორის იყვნენ ევროპარლამენტის წევრები: სამირა რაფაელა, ჰაიდი ჰაუტალა, პასკალ დურანი და სირპა პიეტიკაინენი, ასევე გაეროს გლობალური შეთანხმების გლო-

ბალური ოპერაციების ხელმძღვანელი ოლე ლუნდ ჰანსენი. ამას გარდა, დისკუსიებში მონაწილეობდნენ DG FISMA-ს, MAERSK-ის, Schneider Electric-ის, Phillips-ის, Koc Holding-ის, Edison-ის და სხვა მსხვილი კომპანიების ლიდერები.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა Accountancy Europe-ის, გაეროს და Business Europe-ის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ცირკულარული ეკონომიკის მსოფლიო ფორუმში, რომელიც 17-18 აპრილს გაიმართა.

ფორუმის ფარგლებში, რომელსაც ბიზნეს ლიდერები, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები, ეროვნული მთავრობები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები და ცირკულარული ეკონომიკის ექსპერტები ესწრებოდნენ, ცირკულარული დაფინანსების საერთო ხედვა განიხილეს. თემები მოიცავდა მდგრადი ვაჭრობის კუთხით არსებულ მდგომარეობას, საკანონმდებლო ჩარჩოს, ინვესტიციებსა და ინოვაციებს, კლიმატსა და ბიომრავალფეროვნებას, ასევე, ნარჩენების მართვას. დისკუსიების მსვლელობისას ყურადღება ასევე გამახვილდა ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობაზე.

სამუშაო ვიზიტი ორგანიზებული იყო გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ, შვედეთის მხარდაჭერით.

საერთაშორისო კონფერენცია კორუფციასთან ბრძოლის კოლექტიური ძალისხმევის შესახებ

2024 წლის 24-25 ივნისს, შვეიცარიის ქალაქ ბაზელში გაიმართა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია კორუფციასთან ბრძოლის კოლექტიური ძალისხმევის შესახებ, რომელიც ბაზელის მმართველობის ინსტიტუტის მიერ იყო ორგანიზებული. კონფერენციამ შეასრულა მნიშვნელოვანი გლობალური პლატფორმის როლი, რათა ხელი შეეწყო ბიზნეს სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საჯარო სტრუქტურებს შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ღონისძიება ფოკუსირებული იყო კოლექტიური ძალისხმევის მნიშვნელობაზე სამართლიანი და გამჭვირვალე ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაში. გამართული დისკუსიები შეეხებოდა შესაბამისობის პრაქტიკულ მიდგომებს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და კორპორაციულ სტრატეგიებში კეთილსინდისიერების სტანდარტების ინტეგრირებას.

კონფერენციაზე ქსელს წარმოადგენდა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს

ქსელის ბიზნესის კეთილსინდისიერების ხელმძღვანელი და კერძო სექტორთან ურთიერთობის მენეჯერი მაია გიორგაძე.

კონფერენციამ უზრუნველყო ცოდნის გაცვლის, პარტნიორობის ჩამოყალიბებისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა კოლექტიური ძალისხმევის ინიციატივების გასაძლიერებლად.

გაეროს გენერალური ასამბლეის კვირეული და ლიდერთა სამიტი

19-დან 27 სექტემბრის ჩათვლით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა და წევრი კომპანიების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის (UNGA) კვირეულის ფარგლებში გამართულ მაღალი დონის ღონისძიებებში. ვიზიტმა შექმნა შესაძლებლობა მდგრადობის შესახებ დიალოგის გაღრმავებისთვის, საერთაშორისო პარტნიორობის გასაძლიერებლად და საქართველოს კერძო სექტორის გლობალურ დონეზე წარმოსაჩენად.

24 სექტემბერს, დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო გაეროს გლობალური შეთანხმების ლიდერთა სამიტში, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების ყოველწლიური ფლაგმანი ღონისძიებაა. სელფი მობაილის ეთიკისა და კომპლაენსის სამსახურის ხელძღვანელმა, ია მამეიშვილმა, მონაწილეობა მიიღო პანელურ სესიაში-„ინტელექტის საზღვრები და კორპორაციული პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებისთვის“, სადაც ხაზი გაესვა ტექნოლოგიებისა და ადამიანის უფლებების კვეთის საკითხებს კორპორაციულ კონტექსტში.

კრისტალის წარმომადგენლებმა - ანა გეწაძემ და ლიკა სალუქვაძემ, მონაწილეობა მიიღეს მაღალი დონის სესიაში სახელწოდებით „ინოვაცია ზეგავლენისთვის: ტრანსფორმაციული გადაწყვეტილებები მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“. მათ დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს კომპანიის გამოცდილება მდგრადი განვითარების მხარდამჭერი ინოვაციური მიდგომების შემუშავებაში.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და კოორდინაციით, ვიზიტსა და მის ფარგლებში გამართულ სტრატეგიულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში, მონაწილეობა მიიღეს რვა ქართული კომპანიის - თიბისი ბანკის, პროკრედიტ ბანკის, EY საქართვე-

ლოს, ICR International-ის, სელფი მობაილის, ბიოდიზელ ჯორჯიას, ვისოლ ჯგუფის და კრისტალის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ქსელის დელეგაცია დაესწრო შემდეგ ღონისძიებებს:

- Summit of the Future
- Summit of the Future – Action Days
- SDG Summit USA
- 20th Anniversary of Principle Ten
- Unstoppable Africa
- Putting UK Business at the Heart of the Summit of the Future

გლობალურ დისკუსიებში მონაწილეობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა და მისმა წევრმა კომპანიებმა აჩვენეს ლიდერობა პასუხისმგებლიანი ბიზნესის კუთხით, გააზიარეს საქართველოს გამოცდილება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში და დაამყარეს ახალი პარტნიორობები ერთობლივი გავლენის გასაძლიერებლად.

UNGCNG-ის მიერ ორგანიზებული მაღალი დონის ღონისძიება კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების შესახებ

2024 წლის 26 სექტემბერს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, გაეროს გლობალურ შეთანხმებასა და EY საქართველოსთან პარტნიორობით, უმასპინძლა მაღალი დონის ღონისძიებას, სახელწოდებით -„კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოები: სინერგია და შესაძლებლობები ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციისთვის“. ღონისძიება ნიუ-იორკში, EY-ის სათაო ოფისში, გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

საერთაშორისო ექსპერტები, ბიზნეს ლიდერები და მდგრადობის პროფესიონალები, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ცვალებადი გარემოს განსახილველად შეიკრიბნენ.

დიალოგი ფოკუსირებული იყო ცვლილებებზე საერთაშორისო რეგულაციების სფეროში, რეგიონულ თავსებადობასა და პრაქტიკულ მოთხოვნებზე, რაც აუცილებელია ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. განხილულ ძირითად საკითხებს შორის იყო საგარანტიო მექანიზმების საკითხი, ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებები და ის ოპერაციული გამოწვევები, რომელთა წინაშეც ბიზნესი ამ მოთხოვნების შესრულების დროს დგას.

დისკუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ხელოვნური ინტელექტის ტრანსფორმაციულ როლს კორპორაციულ ანგარიშგებაში მდგრადობის საკითხთან დაკავშირებით. მონაწილეებმა განიხილეს, თუ როგორ შეუძლია ხელოვნურ ინტელექტს, ხელი შეუწყოს მონაცემთა გენერირებას, ანგარიშგების პროცესების ავტომატიზაციას და სიზუსტისა და ეფექტურობის გაზრდას, განსაკუთრებით - გლობალურ ESG ჩარჩოებთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ.

მომხსენებლებსა და პანელური დისკუსიების მონაწილეთა შორის იყვნენ:

- **დევიდ ატკინი**, გაეროს გლობალური შეთანხმების გამგეობის წევრი და “Principles for Responsible Investment” - ის აღმასრულებელი დირექტორი
- **ოლე ლუნდ ჰანსენი,** გაეროს გლობალური შეთანხმების გლობალური ოპერაციების ხელმძღვანელი
- **ჯული ლინ თეიგლანდი,** EY EMEIA-ს რეგიონის მმართველი პარტნიორი
- **პიტერ პოლ ვან დე ვიისი,** Global Reporting Initiative -ის პოლიტიკის მთავარი ოფიცერი
- **სუზან დრეგერი,** IFRS Foundation-ის სტრატეგიულ საკითხთა დირექტორი

- **ხოსე ლუის ბლასკო,** Acciona Carbon Technologies-ის გლობალური მდგრადობის დირექტორი
- **ჯეფრი ოათემი,** DTEK-ის მდგრადობის მთავარი ოფიცერი
- **რუსლან ხოროშვილი,** EY Georgia-ს მმართველი პარტნიორი
- **მაკა ბოჭორიშვილი,** თიბისი ბანკის ESG მიმართულების ხელმძღვანელი
- **ალექსანდრე ჯაშიაშვილი,** პროკრედიტ ბანკის გარემოსდაცვითი განყოფილების ხელმძღვანელი

ღონისძიებას მოდერაციას უწევდნენ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი და გაეროს გლობალური შეთანხმების აზერბაიჯანის ქსელის ქვეყნის მენეჯერი, სამირ მამადოვი. ღონისძიებამ ხელი შეუწყო ცოდნისა და პერსპექტივების გაზიარებას, ასევე წარმოაჩინა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მნიშვნელოვანი როლი გლობალური და რეგიონული მონაწილეების გაერთიანებაში — მდგრადობის ანგარიშგების მომავლის ფორმირებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის ჩარჩოებში ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

მე-9 ევროპული ურთიერთსწავლების ჯგუფი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე - „სამართლიანი გარდაქმნა: ადამიანის უფლებების გაძლიერება კლიმატის ქმედებებში“

19–20 სექტემბერს გაეროს გლობალური შეთანხმების ევროპულმა ქსელებმა, ბერლინში, ბიზნესისა და ადამიანის ადამიანის უფლებების საკითხებზე ურთიერთსწავლების მე-9 ევროპული ჯგუფის მე-9 შეხვედრა გამართეს. შეხვედრის თემა იყო „სამართლიანი გარდაქმნა: ადამიანის უფლებების განმტკიცება კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში“.

შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა, მდგრადი განვითარების სპეციალისტებმა და საწარმოების ხელმძღვანელებმა მთელი ევროპიდან, ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ურთიერთკავშირის შესახებ იმსჯელეს. გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს წარმოადგენდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მენეჯერი აკაკი კუხალეიშვილი.

დისკუსიები ფოკუსირებული იყო კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმებში ადამიანის უფლებათა საკითხების ინტეგრირების პრაქტიკულ სტრატეგიებზე. ძირითადი განხილული თემები მოიცავდა მიწოდების ჯაჭვების პასუხისმგებლიან მართვას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგებას და მწვანე გარდაქმნის შედეგებს.

სასწავლო სესიების დაწყებამდე, ევროპის ქვეყნების ქსელების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს გამოცდილების გაცვლისა და ბიზნესსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების კოორდინაციის მიზნით. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინიციატივები, მიღებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები რეგიონული თანამშრომლობისა და ერთობლივი გავლენის გასაძლიერებლად.

ღონისძიებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მნიშვნელობა პასუხისმგებლიანი ბიზნესის ხელშეწყობაში და ადგილობრივი ქსელების როლი კომპანიებისთვის ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის სფეროში ანგარიშგების პროცესის გამარტივებაში.

გაეროს გლობალური შეთანხმებისა და UNODC-ის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ვენაში

15-16 ოქტომბერს, გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) ვენაში მაღალი დონის ღონისძიებების სერიას უმასპინძლეს, რომელიც ფოკუსირებული იყო ბიზნესის კეთილსინდისიერების გაძლიერებასა და კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის წინსვლაზე.

15 ოქტომბერს გაიმართა საკონსულტაციო სესია სახელწოდებით „Think Lab ბიზნესის კეთილსინდისიერების შესახებ", რომელიც მიეძღვნა განახლებულ პუბლიკაციას - „კორუფციასთან ბრძოლის ეთიკა და შესაბამისობის პროგრამა ბიზნესისთვის: პრაქტიკული სახელმძღვანელო". სესიაზე გაიმართა სიღრმისეული დისკუსიები, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს კეთილსინდისიერების, ანგარიშვალდებულების და კორუფციასთან ბრძოლის ძალისხმევის გაუმჯობესება.

მონაწილეებმა, ასევე, იმსჯელეს ხელოვნური ინტელექტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე ანტიკორუფციული და შესაბამისობის პროგრამების განხორციელებაში. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა სექტორთაშორისი თანამშრომლობის როლზე მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაში.

16 ოქტომბერს, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ორგანიზებით, გაიმართა სესია თემაზე - „ბიზნესის კეთილსინდისიერების წახალისება საჯარო შესყიდვებში".

დისკუსიის დროს განხილულ იქნა წახალისების მნიშვნელობა ბიზნესის მხრიდან ეფექტური ანტიკორუფციული პროგრამების ინტეგრირებაში, კერძოდ, საჯარო შესყიდვების პროცესში. შეხვედრაზე, ასევე, ხაზი გაესვა სახელმწიფო უწყებებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას კორუფციის აღმოფხვრისა და უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი ბაზრის შექმნის მიმართულებით.

ღონისძიებებზე ქსელს წარმოადგენდა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი. მან მონაწილეობა მიიღო დიალოგში ერთობლივი ძალისხმევისა და კორუფციასთან ბრძოლის ჩარჩოების პრაქტიკული განხორციელების შესახებ, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორში.

გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელების რეგიონული ფორუმი (WENA&EECA)

21-25 ოქტომბერს, პარიზში, გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელების რეგიონული ფორუმი (WENA&EECA) გაიმართა რეგიონული შეხვედრა გამართა. ღონისძიებაზე შეიკრიბნენ გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელების წარმომადგენლები ევროპიდან, ცენტრალური აზიიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან, რათა გაეზიარებინათ გამოცდილება, გაეძლიერებინათ თანამშრომლობა და დაესახათ სტრატეგიული პრიორიტეტები.

კვირის განმავლობაში, მონაწილეები ჩართულნი იყვნენ თემატურ სამუშაო სესიებში, სადაც განიხილეს ქსელების საქმიანობა, გეგმები და საერთო გამოწვევები. ძირითადი აქცენტი გაკეთდა კერძო სექტორის როლზე მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. დისკუსიებზე ხაზი გაესვა თანამშრომლობის მნიშვნელობას ათი პრინციპისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გავრცელებისა და მოცვის გაფართოებისთვის.

სესიების მთავარი თემა იყო კომუნიკაციებისა და მედიის როლი ადგილობრივი ქსელების გავლენის გაძლიერებაში. მონაწილეებმა განიხილეს სტრატეგიები ამბის თხრობის, საზოგადოების ჩართულობისა და სტრატეგიული გზავნილების გასაუმჯობესებლად, ასევე, რეგიონში ერთობლივი საკომუნიკაციო ინიციატივების განხორციელების პოტენციალი.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს წარმოადგენდნენ აღმასრულებელი დირექტორი სალომე ზურაბიშვილი, სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი თამარ ღუნაშვილი და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი ლაშა მიქაუტაძე.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მონაწილე მხარეთა 29-ე კონფერენცია

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა, წევრი კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მონაწილე მხარეთა 29-ე კონფერენციაში (COP29), რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა ქართული კერძო სექტორის 6 კომპანიის 12-მა წარმომადგენელმა მიიღო. კონფერენციის ფარგლებში, ქსელმა უმასპინძლა ოთხ მნიშვნელოვან დისკუსიას მდგრადი დაფინანსების, ადამიანის უფლებებისა და განახლებადი ენერგიის გარდამავალი პერიოდის შესახებ.

14 ნოემბერს, თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელებთან თანამშრომლობით, გაიმართა სესია: „მდგრადი დაფინანსების ტენდენციები: აღმოსავლეთ ევროპის პერსპექტივა“, რომელიც 2 პანელურ დისკუსიას მოიცავდა.

დისკუსიას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში მდგრად დაფინანსებასა და ინვესტიციებს ეხებოდა, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი, სალომე ზურაბიშვილი უძღვებოდა. მთავარი მომხსენებლები იყვნენ ექსპერტები საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციიდან, MBC-დან, Binyamin Invest-დან, TSKB-დან (თურქეთის სამრეწველო განვითარების ბანკი), DiXi Group-დან და Kapital-დან.

დისკუსია თემაზე - „მდგრადი დაფინანსება: გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“, რომელსაც გაეროს გლობალური შეთანხმების აზერბაიჯანის ქსელის მენეჯერი სამირ მამადოვი უძღვებოდა, ფოკუსირებული იყო მდგრადი დაფინანსების სფეროში გამჭვირვალე ანგარიშგებისა და პასუხისმგებლიანი საინვესტიციო პრაქტიკის საკითხებზე. პანელში მონაწილეობდნენ საქართველოს ბანკის, აზერბაიჯანის მეწარმეობის განვითარების ფონდის (EDF), თურქეთის განვითარების საინვესტიციო ბანკისა და Freedom Holding Corp.-ის წარმომადგენლები.

15 ნოემბერს, სალომე ზურაბიშვილმა მოდერაცია გაუწია პანელურ დისკუსიას „მიწოდების ჯაჭვის მთლიანობა: ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საზღვრებს მიღმა“, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების პორტუგალიის ქსელის მიერ იყო ორგანიზებული. პანელის მონაწილეებს შორის იყვნენ Bondalti-ს, Bentley Systems-ის, MCA-ს და Fidelidade-ს ხელმძღვანელები, რომლებმაც გლობალური მიწოდების ჯაჭვში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა განიხილეს.

16 ნოემბერს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, თურქეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, დანიის, ჩინეთისა და შვედეთის გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელებთან ერთად, უმასპინძლა სესიას სახელწოდებით "ენერგია მომავლისთვის: ევროპის განახლებად ენერგიაზე ტრანზიციის გზამკვლევი".

პანელური დისკუსია, რომელიც განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლაში ევროპის მიერ მიღწეულ პროგრესსა და გამოწვევებს დაეთმო, მოდერირება სალომე ზურაბიშვილმა გაუწია. მომხსენებლებმა, რომელთა შორის იყვნენ Caucasus Clean Energy Holding-ის, Bentley Systems-ის, Schneider Electric-ის, Vattenfall-ის, Smart Solar Technologies-ისა და LONGi Green Energy-ის ექსპერტები, ევროპის მიერ განახლებად ენერგიაზე გადასვლაზე, გამოწვევებსა და ტრანზიციის მხარდასაჭერად საჭირო ინოვაციებზე ისაუბრეს.

მეორე დისკუსიაზე, სახელწოდებით-„ცირკულარობიდან განახლებადი ენერგიის წარმოებამდე: ინოვაციური პრაქტიკები ევროპაში", რომელსაც მოდერაციას საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) აღმასრულებელი დირექტორი, მაია მელიქიძე უწევდა, ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკისა და განახლებადი ენერგიის გენერაციის კავშირზე, ასევე, ევროპულ ინოვაციურ პროექტებს იმსჯელეს.

სესიებზე ყურადღება გამახვილდა სექტორებს შორის თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების მნიშვნელობაზე, რათა დაჩქარდეს გლობალური პროგრესი მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებში.

გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მე-13 ფორუმი

25–27 ნოემბერს, ჟენევაში, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მე-13 ყოველწლიური ფორუმი გაიმართა. ფორუმი წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს პლატფორმას, რომელიც ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მთავრობების, ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და გაეროს სააგენტოების წარმომადგენლებმა, რათა ემსჯელათ ახალ გამოწვევებზე, გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკა და ხელი შეეწყოთ ერთობლივი ძალისხმევისთვის.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს წარმოადგენდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მენეჯერი, აკაკი კუხალეიშვილი და ქსელის წევრის, ახალქალაქი ჰესის ESG მენეჯერი ნინა თევდორაშვილი.

აკაკი კუხალეიშვილმა მონაწილეობა მიიღო გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ ორგანიზებულ სესიებში და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, იმუშავა საქართველოში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დღის წესრიგის ხელშეწყობის სტრატეგიების შესასწავლად.

ნინა თევდორაშვილი ერთ-ერთი მომხსენებელი იყო ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ სესიაზე. მან ხაზი გაუსვა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში გაწევრიანების მნიშვნელობას, რაც ახ ალქალაქი ჰესისთვის ადამიანის უფლებების საკითხების უკეთ შესწავლისა და ბიზნესპრაქტიკაში ინტეგრირებისთვის გარდამტეხი ნაბიჯი გახდა. ნინა თევდორაშვილმა ასევე ისაუბრა გაეროს გლობალური შეთანხმების ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერატორის პროგრამაზე, რომელიც კომპანიას დაეხმარა სათანადო შეფასების პროცესის განვითარებაში.

მისმა მოხსენებამ წარმოაჩინა, თუ როგორ შეიძლება, გაეროს გლობალური შეთანხმების ფარგლებში სტრუქტურირებულმა თანამშრომლობამ მოიტანოს ხელშესახები პროგრესი ბიზნესოპერაციების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით.

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ხელს უწყობს მულტისექტორულ პარტნიორობას 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების დასაჩქარებლად.

ქსელი აერთიანებს ბიზნესს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ქმნის სივრცეს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

2024 წელს ბიზნესსა და სამოქალაქო სექტორს შორის წარმატებით განხორციელდა 10 მულტისექტორული პროექტი, რომლებიც მოიცავდა მრავალ მიმართულებას — ქალთა უფლებების დაცვასა და გაძლიერებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციას საზოგადოებაში, გარემოსდაცვით ინიციატივებს, შრომითი და ადამიანის უფლებების ხელშეწყობას, ახალგაზრდების მხარდაჭერას, ღირსეულ სამუშაოსა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

SDG Roadshow

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ საინფორმაციო სესიებისა და შეხვედრების სერია გამართა. 30 აპრილს თელავში გაიმართა შეხვედრა, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების მიერ კერძო სექტორის მხარდაჭერის მექანიზმებს დაეთმო. შეხვედრის ფარგლებში განხილული თემები შეეხებოდა სწორხაზოვან და ცირკულარულ ეკონომიკას შორის განსხვავებას, ნარჩენების მართვას, გარემოსდაცვით კანონმდებლობას, ასევე, მწვანე და კლიმატგონივრული მეწარმეობის ხელშეწყობას.

13 ივნისს, ბათუმში გაიმართა მრგვალი მაგიდის დისკუსია სახელწოდებით „მომავლის ინვესტიციები: მდგრადი დაფინანსება“. დისკუსია შეეხო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პრინციპების ინტეგრირებას ბიზნეს საქმიანობაში და საქართველოს

მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას. სესიაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა კომპანიებმა, როგორებიცაა ეფეს საქართველო, კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი, აჭარისწყალი ჯორჯია და სხვები.

25 ივლისს, ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე შეიკრიბა 30-ზე მეტი ადგილობრივი კომპანიის წარმომადგენელი, სადაც მათ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა ევროკავშირის რეგულაციები და კორპორაციული მდგრადობის სტანდარტები გააცნო. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ESG პრაქტიკების მნიშვნელობაზე ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის.

16 ოქტომბერს, გორში გაიმართა კიდევ ერთი საინფორმაციო სესია, რომელმაც ხაზი გაუსვა ბიზნესის როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში და კომპანიებს მისცა შესაძლებლობა, გაეზიარებინათ საკუთარი კორპორაციული მდგრადობის პრაქტიკა.

აღნიშნული ღონისძიებები გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიმდინარე ძალისხმევის ნაწილია, რომელიც მიმართულია მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის მხარდაჭერისა და კერძო სექტორსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაზე.



კონფერენცია "Partnerships4SDGs:მომავლის ინვესტიციები: მდგრადი დაფინანსება"

14 ივნისს, ბათუმში, გაიმართა კონფერენცია „Partnerships4SDGs: მომავლის ინვესტიციები - მდგრადი დაფინანსება".

ღონისძიება მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდას და მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის პროცესში პარტნიორობის ხელშეწყობას. კონფერენციაზე ყურადღება მდგრად დაფინანსებასა და ამ მიმართულებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ასევე, კერძო სექტორის პერსპექტივაზე გამახვილდა. გარდა ამისა, იმსჯელეს ფინანსურ ინსტიტუტებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ინტეგრირებასა და მდგრადი პრაქტიკების დანერგვის მნიშვნელობაზეც. პანელურ დისკუსიებზე განხილული იყო შემდეგი თემები: ინსენტივები მდგრადი დაფინანსებისთვის პოლიტიკის დონეზე; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების პერსპექტივები მდგრადი დაფინანსების ჭრილში და კერძო სექტორის პერსპექტივები მდგრად დაფინანსებაში.

კონფერენციის ფარგლებში, ასევე, წარადგინეს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის დაკვეთით და EY Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის შესახებ.

ღონისძიებაში მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ინვესტორთა საბჭოს, ბიზნეს სექტორის და მედიის წარმომადგენლებმა მიიღეს

სასწავლო კურსი - „როგორ ვეთანამშრომლოთ ბიზნესს“ და სამუშაო შეხვედრები - „სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები“

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამასთან პარტნიორობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ჩაატარა ტრენინგებისა და შეხვედრების სერია სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

ტრენინგი “როგორ ვეთანამშრომლოთ ბიზნესს” სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნესებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. სემინარს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების გუნდი უძღვებოდა, რომელმაც ეფექტური პარტნიორობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

შეხვედრის მეორე ნაწილში, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, მათ შორის ლიბერთი ბანკის CSR მიმართულების ხელმძღვანელმა ტაპი ზაქარიაძემ და კრისტალის CSR სპეციალისტმა, ლიკა სალუქვაძემ ბიზნეს სექტორის გამოცდილებაზე ისაუბრეს. თითოეულ სამუშაო ჯგუფში, რომელიც 10-11 მონაწილისგან შედგებოდა, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წინადადება მომავალი პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაძლიერებისკენ მიმართულ პროექტებთან დაკავშირებით.

ტრენინგის გარდა, ჩატარდა სემინარების სერია სახელწოდებით „სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები“. აღნიშნულმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო დისკუსიებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ისეთ კომპანიებს შორის, როგორიცაა საქართველოს ბანკი, Avon, Cellfie Mobile, EFES საქართველო და ვისოლი.

ყურადღება გამახვილდა თანამშრომლობის პოტენციური სფეროების შესწავლაზე, პროექტების იდეების გაზიარებასა და პარტნიორობის დამყარებაზე. შეხვედრებზე მოხდა იმ ძირითადი სექტორების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა, თანამშრომლობა წარმატებული იყოს და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მდგრადი განვითარებისთვის სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ძალისხმევის გაერთიანების მნიშვნელობას.

ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და ინოვაციების წახალისება მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად, მხარდაჭერილი იყო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მიერ.

პარტნიორობის ფორუმი

20 ნოემბერს, სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივით და USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, რიგით მე-3 პარტნიორობის ფორუმი გაიმართა.

ღონისძიებამ თავი მოუყარა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, სადაც ორგანიზაციებს საკუთარი იდეების წარმოჩენისა და ბიზნესთან პოტენციური თანამშრომლობის პერსპექტივების შესწავლის შესაძლებლობა მიეცათ.

ფორუმის ფარგლებში, საკუთარი საქმიანობისა და განხორციელებული პროექტების შესახებ პრეზენტაციები სამოქალაქო საზოგადოების ხუთმა ორგანიზაციამ წარმოადგინა:

- ორბელიანის ფონდი
- ჩართე
- ჰელფინგ ჰენდ
- საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი -- GIDE
- სუპერგმირი

პარტნიორობის ფორუმის მთავარმა პარტნიორმა კომპანიებმა: საქართველოს ბანკმა, სოკარმა, EFES საქართველომ, Swiss Capital-მა და Combined Ratio Solutions-მა, წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციების პროექტების მოკლე პრეზენტაციებს ინდივიდუალურად მოუსმინეს და გამარჯვებულები ადგილზე შეარჩიეს.

- საქართველოს ბანკმა აირჩია მთიელი წიგნები
- სოკარმა – ახალგაზრდული მოძრაობა პოზიტიური ვირუსი და ჰელფინგ ჰენდ
- EFES საქართველომ – საქართველოს აგრობიზნესის განვითარების ცენტრი
- Swiss Capital-მა – ჩართე
- Combined Ratio Solutions – ცოდნის ოდა

ორ წელიწადში, ქსელმა 90-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან ითანამშრომლა, რის შედეგადაც, 40-ზე მეტი შედგა პარტნიორობა. ბიზნეს სექტორის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ 295 000 ლარზე მეტი შეადგინა.

თანამშრომლობა დონორებთან

შვედეთის ელჩი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდს შეხვდა

სამომავლო თანამშრომლობის განხილვის მიზნით, შვედეთის სამეფოს ელჩი საქართველოში, ანნა ლიბერგი, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდს შეხვდა.

შეხვედრაზე აღინიშნა პროექტის „ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში“ - მეორე ფაზის ამოქმედება, რომელიც 2024 წლის იანვრიდან დაიწყო და 2027 წლამდე გაგრძელდება. პროექტის მიზანია, ბიზნესის კიდევ უფრო მეტად ჩართვა საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში ამბიციური მიზნების დასახვით, ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით, ხელსაყრელი გარემოს შექმნითა და მრავალსექტორული თანამშრომლობის გაძლიერებით.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა ელჩს ქსელის მისიის, ძირითადი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. შვედეთის მთავრობა 2018 წლიდან ქსელის ინიციატივების მთავარი პარტნიორია.

შეხვედრას ესწრებოდნენ შვედეთის საელჩოს განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ერიკ ილესი, შვედეთის საელჩოს პროგრამების ოფიცერი თინა გენებაშვილი და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდი.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შვედეთის ვაჭრობის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა

15 მაისს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შვედეთის ვაჭრობის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრაზე, მდგრადი ვაჭრობის კუთხით, შვედეთის გამოცდილებაზე ისაუბრეს და ამ კონტექსტში, ყურადღება გაამახვილეს შვედეთის ინიციატივებზე საქართველოში.

შვედეთის ელჩმა, ანნა ლიბერგმა, სიტყვით მიმართა დამსწრეებს და ხაზი გაუსვა მდგრადი სავაჭრო პრაქტიკის მნიშვნელობას გლობალური კეთილდღეობის ხელშეწყობის საქმეში.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ხაზი გაუსვა შეხვედრების მნიშვნელობას პრაქტიკული, მიზნებზე ორიენტირებული შედეგების მისაღწევად.

მომხსენებლებმა დეტალურად ისაუბრეს შვედეთთან ვაჭრობის პოტენციალზე და ქართული კომპანიებისთვის გამოკვეთეს პრიორიტეტული სექტორები და საექსპორტო შესაძლებლობები. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეებისთვის პრაქტიკული ცოდნის მიწოდება, რაც მათ დაეხმარება ახალი სავაჭრო პოტენციალის გაცნობასა და ათვისებაში. ასევე, გაიმართა კითხვა-პასუხის სესიაც.

ღონისძიებაში მონაწილეობა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის 30-მდე წევრი კომპანიის წარმომადგენელმა მიიღო.

სტრატეგიული პარტნიორობა გაეროს სააგენტოებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან

2024 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თანამშრომლობა გაეროს სხვადასხვა სააგენტოსთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (IFIs), ინოვაციების ხელშეწყობის, მდგრადი განვითარების მიზნების წინსვლისა და მდგრადი დაფინანსების პოპულარიზაციისთვის. გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და მსოფლიო ბანკთან პარტნიორობამ წარმოაჩინა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობა გლობალურ გამოწვევებთან გამკლავების მიმართულებით.

ძირითადი ინიციატივები და თანამშრომლობა

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით, მუშაობდა პროექტზე – „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის“. პროექტი საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილების დახმარებას ითვალისწინებდა. პარტნიორობის მთავარი მიზანი იყო უკრაინელი ლტოლვილებისთვის დასაქმების ხელშეწყობა.

ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

დასაქმების ხელშეწყობა: სამუშაოს აქტიურად მაძიებელი უკრაინელი ლტოლვილების რეზიუმეები გაეგზავნა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრ კომპანიებს.

ბიზნესთან ჩართულობა: 12 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე, ინიციატივა წარედგინა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს, რათა კომპანიებს ლტოლვილების მხარდაჭერის შესაძლო თანამშრომლობის გზები განეხილათ.

შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: დასაქმდა 70-ზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი, რაც კერძო სექტორის მხრიდან ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მიმართ ერთგულებაზე მიუთითებს.

SDG ინოვაციების აქსელერატორი ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, განახორციელა SDG ინოვაციების აქსელერატორი ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა ლიდერების უზრუნველყოფა შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული ინსტრუმენტებით, რათა მათ ინოვაციების საშუალებით შეძლონ მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრა. პროგრამა, რომელსაც UNDP-ის წარმომადგენელი სესილი ვერძაძე უძღვებოდა, მოიცავდა ინტერაქტიულ სემინარებსა და თემატურ დისკუსიებს, რამაც ხელი შეუწყო კორპორაციული სტრატეგიების მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული ინიციატივა ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების სფეროში ლიდერების ახალი თაობის აღზრდის მნიშვნელობას, რომლებსაც საკუთარ ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება შეუძლიათ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და მსოფლიო ბანკი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი თანამშრომლობდა EBRD-თან სხვადასხვა ინიციატივის ფარგლებში, მათ შორის:

- **ფორუმი „პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“ (14 ივნისი, ბათუმი):** ღონისძიება ფოკუსირებული იყო მდგრად დაფინანსებაზე. ფორუმის საკვანძო სპიკერები იყვნენ EBRD-ის რეგიონული დირექტორი ალკის დრაკინოსი და მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი როლანდ პრაისი.

- **კორპორაციული მდგრადობის ჯილდო:** EBRD-ის წარმომადგენელი იყო ჟიურის წევრი მდგრადი ქალაქებისა და დასახლებების კატეგორიაში.
- **ჟურნალი SUSTAINABILITY SPOTLIGHT:** გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ასახავს EBRD-ის ერთგულებას საქართველოში ESG პრინციპების ინტეგრირების მიმართ.
- **ჟურნალი SUSTAINABILITY SPOTLIGHT:** გამოქვეყნდა სტატია, რომელიც აღწერს მსოფლიო ბანკის ანტიკორუფციულ ძალისხმევასა და საქმიანობას.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ნაყოფიერი თანამშრომლობა განაგრძო.

21 ივნისს, ქსელის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს UNICEF-ის ბიზნესის მრჩეველთა საბჭოს (BACC) მეხუთე შეხვედრაში. საბჭოს წევრებმა მიმოიხილეს ბავშვთა უფლებების მდგომარეობა ცვალებად კონტექსტში. ასევე, ისაუბრეს მიმდინარე ინიციატივებზე, როგორიცაა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან ერთად მიმდინარე პროექტი ახალგაზრდების ციფრული უნარების განვითარების შესახებ.

26 ნოემბერს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, UNICEF-თან თანამშრომლობით, თემაზე - "ბავშვთა უფლებები და ბიზნეს პრინციპები", ონლაინ ვებინარი გამართა. ვებინარის მიზანი იყო ბიზნეს სექტორის მხარდაჭერა ბავშვთა უფლებებისა და ბიზნეს პრინციპების საქმიანობაში დანერგვასა და პოპულარიზაციაში.

ვებინარი მისასალმებელი სიტყვით გახსნეს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა, და UNICEF-ის წარმომადგენელმა საქართველოში, იესპერ მოლერმა. მათ ხაზი გაუსვეს კერძო სექტორის მნიშვნელობას ბავშვთა უფლებების პატივისცემასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

შეხვედრის ფარგლებში მოხსენებები წარადგინეს UNICEF საქართველოს კომუნიკაციების სპეციალისტმა, მაია ქურციკიძემ და UNICEF ხორვატიის წარმომადგენლებმა - ლიდია გამულინმა და ივა ტურჩინმა. მათ მიმოიხილეს ბავშვთა უფლებების და ბიზნეს პრინციპების საფუძვლები და ისაუბრეს მისი იმპლემენტაციის გზებსა და კარგი პრაქტიკის მაგალითებზე.

ვებინარი დისკუსიით გაგრძელდა, რომელსაც უძღვებოდნენ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ნინო კვანტრიშვილი და ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მენეჯერი აკაკი კუხალეიშვილი. დისკუსიის ფარგლებში, მონაწილე კომპანიებმა ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბიზნეს პრინციპების განხორციელების მიმართულებით, საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრეს.

კორპორაციული მდგრადობის კვლევა

გაეროს განვითარების პროგრამის სტამბოლის რეგიონულ ჰაბთან თანამშრომლობით განხორციელებულმა კვლევამ შეაფასა ქართული კომპანიების მზაობა, დანერგონ ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის კანონმდებლობა. კვლევა ფოკუსირებული იყო ადამიანის უფლებების სათანადო შეფასების პროცესზე ღირებულების ჯაჭვებში.

გაეროს სააგენტოებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მდგრადობის მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

ქსელმა ბიზნესს მისცა შესაძლებლობა, დაენერგა პასუხისმგებლიანი პრაქტიკები და შეექმნა თანამშრომლობის პლატფორმა ერთობლივი ძალისხმევის გასაძლიერებლად მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად.

ქსელი მომავალშიც გააგრძელებს პარტნიორობის გაღრმავებასა და ინოვაციების ხელშეწყობას გლობალური გამოწვევების გადაჭრის მიზნით.

გლობალური ვებინარი თემაზე „კომუნიკაციისა და ანგარიშგების როლი ეთიკასა და შესაბამისობაში“

10 ოქტომბერს, გლობალური ვებინარების სერიის ფარგლებში, თემაზე - “კომუნიკაციისა და ანგარიშგების როლი ეთიკასა და შესაბამისობაში” გლობალური ინტერაქციული სესია გაიმართა.

სესიას, რომელიც გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსთან (UNODC) თანამშრომლობით იყო ორგანიზებული, გაეროს გლობალური შეთანხმების აკადემიამ უმასპინძლა. სესიაზე განხილული იყო კორპორაციული კეთილსინდისიერების ხელშეწყობის ძირითადი სტრატეგიები.



90 წუთის განმავლობაში, წამყვანი ექსპერტები და პრაქტიკოსი სპეციალისტები მონაწილეებს ორგანიზაციებში კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების კულტურის ფორმირებისთვის საჭირო პრაქტიკულ ინსტრუმენტებს უზიარებდნენ. ვებინარის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი იყო თიბისი ბანკის შესაბამისობის რისკის მართვის დეპარტამენტის უფროსი ნათია მიქაუტაძე, რომელმაც ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის გაძლიერებაში სტრატეგიული კომუნიკაციისა და პროგრესის ანგარიშგების როლზე ისაუბრა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ასობით კომპანიამ მსოფლიოს მასშტაბით რაც გლობალურ ბიზნეს სივრცეში ეთიკისა და შესაბამისობის მზარდ მნიშვნელობას ადასტურებს.

პარტნიორობა ბიზნეს ასოციაციებთან

პარტნიორობა ევროპულ ბიზნეს ასოციაციასთან

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გააძლიერა თანამშრომლობა ევროპულ ბიზნეს ასოციაციასთან (EBA) საქართველოში მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზაციებმა ევროინტეგრაციის სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში ერთობლივად გამართეს სემინარები, რომლებიც მიზნად ისახავდა დიალოგისა და ჩართულობის გაძლიერებას მდგრადი ბიზნესპრაქტიკის საკითხებზე.

აღნიშნული თანამშრომლობა გაშუქდა ჟურნალში SUSTAINABILITY SPOTLIGHT, სადაც ხაზი გაესვა EBA-ს ინიციატივებს საქართველოში მდგრადი ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით. გარდა ამისა, EBA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ მონაწილეობა მიიღეს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სატელევიზიო გადაცემებში - „გზა მდგრადობისკენ“ და „საუბრები ბიზნესსა და ევროკავშირზე“, სადაც მათ მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს.

პარტნიორობა გერმანიის ბიზნეს ასოციაციასთან

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა და გერმანიის ბიზნეს ასოციაციამ (DWV) სტრატეგიული პარტნიორობა დაამყარეს, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების ინიციატივებში კერძო სექტორის ჩართულობის გააქტიურებას. აღნიშნული თანამშრომლობა პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის დანერგვას, ინოვაციების ხელშეწყობას, ასევე, საქართველოს ბიზნეს სექტორში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

საინფორმაციო სესიები ბიზნეს ასოციაციებთან

მდგრადი განვითარების წახალისებისა და პარტნიორობის გაღრმავების მიზნით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ქვეყნის წამყვან ბიზნეს ასოციაციებთან თანამშრომლობა გააააქტიურა.

შეხვედრები გაიმართა გერმანიის ბიზნეს ასოციაციასთან და თურქეთის ბიზნეს ასოციაციასთან (GURTIAD), სადაც საერთო მიზნები და შესაძლებლობები განიხილეს, კერძოდ-საქართველოში პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკების განვითარების და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. დისკუსიების ფარგლებში, მონაწილეებს გააცნეს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის პროგრამები, პლატფორმები, ვორქშოფები, მდგრადობის ანგარიშგების სახელმძღვანელო და თანამშრომლობის შესაძლებლობები ისეთ სფეროებში, როგორიცაა მდგრადი დაფინანსება, კორპორაციული მმართველობა და ადამიანის უფლებების სათანადო შეფასება.

კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე

საქართველოს პარლამენტი

საჯარო-კერძო დიალოგის (PPD) პლატფორმა საქართველოს პარლამენტში

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი ახორციელებდა საგრანტო აქტივობას - „საქართველოს პარლამენტში საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის მდგრადობის მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა“. პროექტმა ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაუმჯობესებას ეკონომიკური რეფორმების თაობაზე და შექმნა მდგრადი საპარლამენტო პლატფორმა საჯარო-კერძო დიალოგისთვის. აღნიშნულმა უზრუნველყო კერძო სექტორის აქტიური და ეფექტიანი ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში.

2024 წელს, საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტთან პარტნიორობით, ორი ღონისძიება, სემინარი და პლატფორმის დახურვის ცერემონია გაიმართა.

სემინარი „მეწარმეთა შესახებ “საქართველოს კანონმდებლობის ცალკეული დებულებების შეფასების შესახებ

1 თებერვალს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებისა და ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ორგანიზებით და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტში მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ცალკეული დებულებების განხილვა გაიმართა.

განხილვის ფარგლებში, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიულმა ექსპერტმა, გიორგი ჯუღელმა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ცალკეულ მუხლებში დისპოზიციური და იმპერატიული ბუნების შესახებ ისაუბრა. მეორე სესია საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას დაეთმო.

საგრანტო აქტივობის: „საქართველოს პარლამენტში საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის მდგრადობის მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა“ დახურვის ღონისძიება

20 თებერვალს, საგრანტო აქტივობის: „საქართველოს პარლამენტში საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის მდგრადობის მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა“ დახურვის ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე საჯარო-კერძო დიალოგის გზამკვლევის პრეზენტაცია გაიმართა. საჯარო-კერძო დიალოგის გზამკვლევი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან ერთად, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით შეიმუშავა.

გზამკვლევის მიზანია პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მხარდაჭერა საჯარო-კერძო დიალოგის წარმატებით წარმართვისა და კერძო სექტორის ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

2024 წელს, მდგრადი განვითარებისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკების ხელშეწყობის მიზნით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობდა.

2024 წელს განხორციელებული ძირითადი აქტივობები:

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

საქართველოს ეროვნულ ბანკთან პარტნიორობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მოამზადა პირველი ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე. ლექსიკონი მოიცავს მდგრად დაფინანსებასა და ESG -სთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას. აღნიშნული დოკუმენტი ღირებული რესურსია დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკის განვითარების მიმართულებით მუშაობენ.

ეროვნული ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების სახელმძღვანელო

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა ქართულ ენაზე თარგმნა ESG სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის შემუშავებული. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მდგრადი დაფინანსების ძირითადი პრინციპებისა და პრაქტიკის ფართო აუდიტორიამდე მიტანას, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

მდგრადი დაფინანსების სამოქმედო პლატფორმის შეხვედრა

საქართველოს ეროვნულ ბანკთან პარტნიორობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მდგრადი დაფინანსების სამოქმედო პლატფორმის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე პლატფორმის მონაწილე კომპანიებს წარედგინათ ეროვნული ბანკის ESG სახელმძღვანელო პრინციპები, რამაც ხელი შეუწყო დიალოგს ESG პრაქტიკის დანერგვის შესახებ საქართველოს ფინანსურ და ბიზნეს სექტორებში.

კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2024: ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსს ახალი ნომინაცია— „მდგრადი დაფინანსება“ დაამატა. აღნიშნული კატეგორია შეიქმნა იმ კომპანიების აღიარებისა და წახალისების მიზნით, რომლებიც ფინანსური პრაქტიკის მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით, განსაკუთრებულ ერთგულებასა და ინოვაციურ მიდგომას ავლენენ.

ნომინაცია ყურადღებას შემდეგ ასპექტებზე ამახვილებს:

- კერძო სექტორში მდგრადი დაფინანსების პრაქტიკის ხელშეწყობა
- გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპების ფინანსურ ოპერაციებში ინტეგრირება
- საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი მდგრადობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილი

კონფერენცია – ინვესტირება ქალებში: გენდერულად პასუხისმგებლიანი დაფინანსება საქართველოში

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობით, გაიმართა კონფერენცია „ინვესტირება ქალებში: გენდერულად პასუხისმგებლიანი დაფინანსება საქართველოში“.

ღონისძიების ფარგლებში, მოდერატორებმა და მომხსენებლებმა ისაუბრეს სახელმწიფოს პოლიტიკაზე და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივებზე, გენდერულად პასუხისმგებლიანი დაფინანსების ხელშეწყობასა და შესყიდვების პროცესზე, ასევე, ინვესტირებაში გენდერული ჭრილის გამოყენებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS)

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მდგრადობის შესახებ ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS) და მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ქართულენოვანი თარგმანის გადახედვაში.

სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ქსელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თარგმანის ხარისხის, ტერმინოლოგიური სიზუსტისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაში, რათა ის სრულად შესაბამისობაში ყოფილიყო კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებთან.

ინვესტორთა საბჭო

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით და შვედეთის დაფინანსებით, 14 ივნისს, ბათუმში, კონფერენცია-„პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“ გაიმართა.

ღონისძიებაზე, რომელშიც მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, ყურადღება მდგრად დაფინანსებაზე გამახვილდა. დისკუსიების მთავარი თემები იყო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების ინტეგრირება და ფინანსურ ინსტიტუტებში მდგრადი პრაქტიკის დანერგვა.

ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი იყო ინვესტორთა საბჭოს მწვანე ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანთია, რომელმაც პოლიტიკის ვალდებულებებსა და მდგრადი დაფინანსების წახალისების მექანიზმებზე ისაუბრა. გარდა ამისა, ოთარ ანთია მონაწილეობდა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ 13–14 ივნისს ორგანიზებულ შეხვედრაში მედიასთან, სადაც მან ჟურნალისტებს მწვანე ეკონომიკის შესახებ ხედვა გაუზიარა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის“.

SUSTAINABILITY SPOTLIGHT: მე-8 ნომერი

გამოქვეყნდა ჟურნალ SUSTAINABILITY SPOTLIGHT-ის მე-8 ნომერი, რომელიც მიეძღვნა თემას - „მდგრადი დაფინანსება: ინვესტირება მდგრადი განვითარების მიზნებში“. ჟურნალი გამოიცა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ, შვედეთის მხარდაჭერით და ინვესტორთა საბჭოს სამდივნოსთან პარტნიორობით, რომელიც დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეშვეობით.

ნომერში წარმოდგენილი იყო 27 სტატია და 22 ინტერვიუ მდგრადი დაფინანსების შესახებ, კერძო სექტორის, საჯარო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

აწარმოე საქართველოში - ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, აწარმოე საქართველოს და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით და შვედეთის მხარდაჭერით, ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში, თბილისსა (4 ივნისი) და ბათუმში (12 ივნისი), დამატებით, ექსპორტის 40 მენეჯერი გადამზადდა. კურსის მეშვეობით, ქართული ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა, აიმაღლონ ცოდნა, განავითარონ საჭირო უნარ-ჩვევები და დანერგონ კორპორაციული მდგრადობის სტანდარტები საკუთარ კომპანიებში, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარებათ საექსპორტო საქმიანობაში.

საინფორმაციო შეხვედრა სახელმწიფო საწარმოებისთვის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის შესახებ

10 აპრილს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ორგანიზებით და შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის შესახებ, სახელმწიფო საწარმოების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა, სალომე ზურაბიშვილმა დამსწრეებს ქსელის მისია და საქმიანობა გააცნო და ბიზნესისა და ადამიანის უფლებების პრინციპების მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრის მონაწილეებს მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მარიამ ბეგოიძემ. შეხვედრის მეორე ნაწილი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს - ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ'' მიმოხილვას დაეთმო, რომელსაც გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მენეჯერი, აკაკი კუხალეიშვილი გაუძღვა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, OECD-ის გაიდლაინების (ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის შესახებ) შესახებ ცნობიერების ამაღლების ვალდებულება აქვს აღებული. 2016 წლიდან მოყოლებული, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხები ადამიანის უფლებების დაცვის ყველა გეგმაშია ასახული. ღონისძიება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში განხორციელდა.

ადამიანის უფლებათა სამდივნო

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი თანამშრომლობდა ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან, ხოლო ქსელის რეკომენდაციები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით, ნაწილობრივ ინტეგრირდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022–2030 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და მის 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმაში.

ინდივიდუალური დახმარება წევრი კომპანიებისთვის

ინდივიდუალური შეხვედრები და მენტორინგი

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი აქტიურად უჭერს მხარს წევრ ორგანიზაციებს საქმიანობაში მდგრადობის სტანდარტებისა და გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის დანერგვაში. გარდა ამისა, ქსელის წევრებს აქვთ წვდომა თვითშეფასების ინსტრუმენტებზე, რომლებიც ეხმარებათ არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებაში, კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებასა და მდგრადი განვითარების საუკეთესო პრაქტიკების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრირებაში.

2024 წელს, ტექნიკური მხარდაჭერისა და მენტორობის უზრუნველსაყოფად, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გუნდმა ქსელის წევრებთან 130 ინდივიდუალური შეხვედრა გამართა.

ქსელის წევრმა კომპანიებმა კონსულტაციები მიიღეს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე, შრომით უფლებებზე, კლიმატის ცვლილებაზე, გენდერულ თანასწორობაზე, მდგრადი განვითარების მიზნებზე, მდგრად დაფინანსებაზე, ცირკულარულ ეკონომიკასა და ბიზნესის კეთილსინდისიერებაზე.

კონსულტაციები წევრი კომპანიებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგებისა და პროგრესის კომუნიკაციის საკითხებში

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა სამი საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რათა წევრ კომპანიებს ანგარიშგების - კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (CoP) მომზადებაში დახმარებოდა.

ონლაინ შეხვედრაზე განიხილეს ანგარიშგების მოთხოვნები, მათ შორის, აღმასრულებელი დირექტორის განცხადების ფორმატი, CoP კითხვარის შევსება, ანგარიშგების ვებ პლატფორმაზე წვდომა და ტექნიკური სპეციფიკაციები. კიდევ ერთი სესია 10 ივლისს გაიმართა, სადაც ანგარიშგებაზე დამატებით იმსჯელეს. საინფორმაციო შეხვედრებისას გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორის მოადგილემ, ნინო კვანტრიშვილმა მდგრადობის ანგარიშგების მნიშვნელობაზე ისაუბრა. კომპანიებს მიეწოდათ რეკომენდაცია ადამიანის უფლებების, შრომის, მმართველობის, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის ძალისხმევის მიმართულებით ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

CoP MAPPING TOOL

გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელთან და სხვა ევროპულ ქვეყნების ქსელებთან პარტნიორობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა წვლილი შეიტანა CoP Mapping Tool-ის მომზადებაში. ინიციატივა უზრუნველყოფს პროგრესის შესახებ ანგარიშის ყოვლისმომცველ შედარებას ევროპის სხვა ანგარიშგების სტანდარტებთან, მათ შორის, მდგრადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სტანდარტებთან (ESRS) და ანგარიშგების გლობალურ ინიციატივასთან (GRI). ინსტრუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან საკუთარი მდგრადობის ანგარიშგების პრაქტიკების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრულობა და შესაბამისობა სხვადასხვა ჩარჩოს ფარგლებში.

სელფი მობაილი გაეროს გლობალური შეთანხმებისა და UNODC-ის მიერ დაფუძნებულ ბიზნესის კეთილსინდისიერების ლაბორატორიას შეუერთდა

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი კომპანია სელფი მობაილი გაეროს გლობალური შეთანხმებისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მიერ შექმნილი Think Lab-ის საქმიანობაში - ბიზნესის კეთილსინდისიერების სამუშაო ჯგუფში (Think Lab for Business Integrity) ჩაერთვება.

აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში, რომელშიც მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ 25 კომპანიაა ჩართული, მონაწილეობა მხოლოდ მოწვევითაა შესაძლებელი. Think Lab-ის მიზანია, ხელი შეუწყოს ლიდერობისა და ბიზნესის კეთილსინდისიერების გაძლიერებას მსოფლიოს მასშტაბით.

ლიდერობის აღიარება

კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს გადაცემის ცერემონია 2025 წლისთვის გადაიდო

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა განახორციელა ყოველწლიური კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსის განაცხადების მიღებისა და ჟიურის მიერ აპლიკაციების შეფასების პროცესი. ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ქსელმა გააუქმა დაჯილდოების ცერემონია, რომელიც 5 დეკემბერს უნდა გამართულიყო.

ვიმედოვნებთ, რომ 2025 წლის დასაწყისში, გვექნება შესაძლებლობა ღონისძიების ჩატარებისა და კომპანიების წვლილის საჯაროდ აღნიშვნისა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში. განახლებულ თარიღსა და დეტალებს დადასტურებისთანავე გაცნობებთ.

ცერემონიის გადადება ხელს შეუწყობს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და ხაზს გაუსვამს იმ ქართული კომპანიების მიღწევებს, რომლებიც მხარს უჭერენ მდგრად განვითარებას. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის კონტექსტში, ჯილდო კიდევ ერთხელ გამოკვეთს კერძო სექტორის მნიშვნელოვან როლს ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტანდარტების შესრულებასა და ქვეყნის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მომავლის ჩამოყალიბებაში. მოუთმენლად ველით ამ ძალისხმევის აღიარებას 2025 წლის დასაწყისში.



SDG პიონერები

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა SDG პიონერები გამოავლინა. SDG პიონერები არიან ბიზნეს პროფესიონალები, რომლებიც საკუთარი საქმიანობით, ხელს უწყობენ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. 2024 წლის გამარჯვებულები გახდნენ პოლივიმის უფროსი კომერციული ოფიცერი, შივა ფარიზადი - მცირე და საშუალო (SME) და მიკრო ზომის კომპანიების კატეგორიაში და ეფეს საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი, ქეთევან ჟვანია - მსხვილი ადგილობრივი ან საერთაშორისო კომპანიების კატეგორიაში. გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის 2024 წლის ადგილობრივი SDG პიონერი, შივა ფარიზადი ნიუ-იორკში გამართულ ლიდერთა სამიტზე გაეროს გლობალური შეთანხმების გლობალურ SDG პიონერად დასახელდა.

შივა ფარიზადის ინიციატივით განხორციელდა არაერთი ინოვაციური აქტივობა პლასტმასის ნარჩენების გადამუშვების მიმართულებით. აღნიშნული ძალისხმევით, შივა ფარიზადმა არა მხოლოდ მდგრადობას შეუწყო ხელი, არამედ, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებასთან ერთად, ეკონომიკურად გააძლიერა ადგილობრივი თემები.

ქეთევან ჟვანიამ, რომელიც ეფეს საქართველოს მდგრადობის მიმართულებით ძალისხმევას 2018 წლიდან უდგას სათავეში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რომ კომპანია გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი გამხდარიყო. ქეთევან ჟვანიას ძალისხმევით, ეფეს საქართველო არაერთხელ გახდა კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს გამარჯვებული სხვადასხვა კატეგორიაში.

კონკურსი გაეროს გლობალური შეთანხმების ფარგლებში ყოველწლიურად იმართებოდა და მიზნად ისახავდა წამყვანი SDG პიონერის - იმ პროფესიონალის გამოვლენასა და და-

ჯილდოებას, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების წევრ კომპანიაში მუშაობს და საკუთარი საქმიანობით, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრირებას ბიზნეს ოპერაციებში.

გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ შეწყვიტა SDG პიონერთა პროგრამის განხორციელება, რის შედეგადაც აღნიშნული კონკურსი 2025 წლიდან აღარ გაიმართება.

ჟურნალი SUSTAINABILITY SPOTLIGHT

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გააგრძელა ორენოვანი ჟურნალის - SUSTAINABILITY SPOTLIGHT გამოცემა. ჟურნალი კორპორაციულ მდგრადობას ეძღვნება და მისი მიზანია, მკითხველს პასუხისმგებლიანი ბიზნესპრაქტიკის საუკეთესო მაგალითები გააცნოს. ის, ასევე, წარმოაჩენს დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს მდგრადობის სფეროში, ამ მიმართულებით საჯარო ინსტიტუტების ხედვებს, ინიციატივებსა და საქმიანობას და საინტერესო სიახლეებს კორპორაციული მდგრადობის შესახებ.

ჟურნალი განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის და მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის კერძო სექტორის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საქართველოს დიპლომატიურ მისიებს საზღვარგარეთ, სახელმწიფო სტრუქტურებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

2024 წელს გამოაქვეყნდა ჟურნალის სამი ნომერი, რომლებიც მოიცავდა შემდეგ თემატურ მიმართულებებს:

- ინვესტირება მდგრადი განვითარების მიზნებში: მდგრადი დაფინანსება
- საქართველოს ევროინტეგრაცია: სარგებელი ბიზნესისთვის
- მე-10 პრინციპის 20 წლისთავი: კორუფციასთან ბრძოლის ძალისხმევა
- 2024 წელს, გამოქვეყნდა 67 სტატია და ჩაიწერა 53 ინტერვიუ.

საკომუნიკაციო მასალები და აქტივობები ციფრული მედიაში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი აქტიურად მუშაობდა კერძო სექტორსა და ფართო საზოგადოებაში კორპორაციული მდგრადობის თანამედროვე ტენდენციების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. აღნიშნული ძალისხმევა მოიცავდა საერთაშორისო და ადგილობრივი მარეგულირებელი ჩარჩოების ასახვას და საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენას. მიდგომა ითვალისწინებდა ისეთი ინოვაციური სარეკლამო მასალების შექმნას, როგორიცაა ორენოვანი ყოველთვიური ბიულეტენები, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრი კომპანიების წარმატების ისტორიები სოციალურ მედიაში, სოციალური მედიის პოსტერები, ანიმაციური ინფოგრაფიკა/ვიდეოები, ყოველწლიური ანგარიშები, მდგრადი განვითარების მიზნების თემატიკაზე შექმნილი თამაშები და სხვა ინიციატივები.

სატელევიზიო გადაცემები: ევროპული ინტეგრაციისა და კორპორაციული მდგრადობის პოპულარიზაცია საქართველოში

საუბრები ბიზნესსა და ევროკავშირზე

2024 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, BMG-სთან პარტნიორობით, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამისა და შვედეთის მხარდაჭერით, მოამზადა ახალი სატელევიზიო რუბრიკა „საუბრები ბიზნესსა და ევროკავშირზე“. რუბრიკა ხელს უწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ზრდის ცნობიერებას მისი სარგებლის შესახებ ქართული ბიზნეს სექტორისთვის და ხაზს უსვამს ევროპული ინტეგრაციის პროცესში კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას.

რუბრიკის სტუმრებს შორის იყვნენ შვედეთისა და გერმანიის ელჩები, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი, ევროპარლამენტის წევრები, ასევე ბიზნეს ასოციაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

2024 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამისა და შვედეთის დაფინანსებით, 32 ეპიზოდი მოამზადა. სატელევიზიო რუბრიკის გაგრძელება 2025 წელსაც იგეგმება.

გზა მდგრადობისკენ

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა, შვედეთის მხარდაჭერით, BMG-ის ეთერში, განაახლა სატელევიზიო რუბრიკა „გზა მდგრადობისკენ“. ყოველ სამშაბათს, ქსელის აღმასრულებელი დირექტორი, სალომე ზურაბიშვილი, სტუმრებთან ერთად განიხილავდა კორპორაციული მდგრადობის პრაქტიკასა და ტენდენციებს როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.

რუბრიკა მიზნად ისახავდა ბიზნესის მიერ კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობისა და სარგებლის გააზრების გაღრმავებას და, ამავდროულად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების შესახებ. აღნიშნულ სტანდარტებთან და საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობა გადამწყვეტია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

2024 წელს გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შვედეთის მხარდაჭერით, 20 გადაცემა მოამზადა.

შვედეთი
Sverige

ანგარიში გამოცემულია გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით,
პროექტის - "ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში" ფარგლებში.